

ინფორმაცია

გიორგი მარგველაშვილი კიევი „ლირსების მარაგში“ მიიღებს მონაწილეობას

საქართველოს პრეზიდენტი სახელმწიფო დელეგაციასთან ერთად კიევს უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მიმართებით 22 თებერვალს ეწვევა.

„გიორგი მარგველაშვილი „ლირსების მარაგში“ მიიღებს მონაწილეობას, რომელსაც სხვა ქვეყნების ლიდერებიც დაესწრებიან. კიევში ღონისძიებები „ლირსების რეგულაციის“ წლისთავთან დაკავშირებით იმართება. შარშან უკრაინის დედაქალაქში საპროტესტო გამოსვლების დარბევას 100 დემონსტრანტი და 20 პოლიციელი ემსხვერპლა“, - ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციაში.



პარლამენტმა კომუნიკაციების კომისიის წევრები დაამტკიცა

პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრობის ვაკანტურ თანამდებობაზე მხარი გიორგი ფრუხაძის, მერაბ ქათამაძისა და ელისო ასანიძის კანდიდატურებს დაუჭირეს. კენჭისყრის დროს აღნიშნულმა კანდიდატურებმა ხმათა უმრავლესობა მოიპოვეს, რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, მათ კენჭისყრაზე ხმათა შესაბამისი რაოდენობა ვერ მოაგროვეს. პარლამენტს აღნიშნულ თანამდებობაზე კანდიდატურები საქართველოს პრეზიდენტმა წარუდგინა. კონსულტაციები კანდიდატებთან დაკავშირებით პარლამენტში ფრაქცია „ქართული ოცნების“ დახურულ სხდომაზეც გაიმართა.

გუბაზ სანიკიძე პარლამენტის ვიცე-სპიკერი გახდა



გუბაზ სანიკიძე უმრავლესობის წარდგინებითა და კვლავი პარლამენტის ვიცე-სპიკერი გახდა. სანიკიძეს ახალ თანამდებობაზე 104-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

მანამდე პარლამენტმა ცნობად მიიღო ვიცე-სპიკერობიდან „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ აბაშიძის განცხადება. სანიკიძეს პარლამენტში კავკასიის საკითხთა და დიასპორასთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა.

კომისიის მუშაობის ვადა გაუზარდა

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის ვადა კიდევ ერთხელ, ამჯერად 2015 წლის 15 სექტემბრამდე უგრძელდება. საკონსტიტუციო კომისიის დებულებაში შესაბამისი ცვლილებები პარლამენტს გუშინ, პარლამენტის თავმჯდომარემ და კომისიის ხელმძღვანელმა დავით უსუფაშვილმა შესთავაზა.

როგორც მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, მიმდინარე წლის 15 სექტემბერი არის ბოლო ვადა იმისთვის, რომ მოქმედმა პარლამენტმა, თუკი მას ნება და უნარი ექნება, კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელება შეძლოს. ამასთან, როგორც უსუფაშვილმა აღნიშნა, არსებობს მოსაზრება, რომ არ იქნება ცუდი, თუკი ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებები საგაზაფხულო სესიის განმავლობაში, უახლოეს ორ-სამ თვეში მომზადდეს.

უსუფაშვილმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების მუშაობასთან დაკავშირებით ერთგვარი უკმაყოფილება გამოხატა და აღნიშნა, რომ არიან კომისიის წევრები, რომელთაც სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა არასდროს მიუღიათ. უსუფაშვილის აზრით, კომისიის ასეთი წევრები უნდა შეიცვალონ. ამასთან, საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში ცვლილებას ის გარემოებაც იწვევს, რომ კომისიის რამდენიმე წევრი იმ თანამდებობასა და პოზიციაზე აღარ არის, რა სტატუსითაც ისინი თავის დროზე კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია 2013 წლის ბოლოს შეიქმნა, რა დროსაც პარლამენტისთვის კონსტიტუციური ცვლილებების პროექტის წარდგენის ვადად 2014 წლის 1 სექტემბერი განისაზღვრა, თუმცა, პროექტის მომზადება დადგენილ ვადაში ვერ მოხერხდა და კომისიის მუშაობის გასაგრძელებლად დამატებით ექვსი თვე მიეცა.

ენერგეტიკა

იმის გათვალისწინებით, რომ ნახშირწარმოების მარაგები დედაქალაქში, საბოლოო ანგარიშით, ოდესღაც ამოიწურება, ენერჯის მიღების ალტერნატიული წყაროებისადმი ინტერესი წლიდან წლამდე მატულობს. მზის, ქარის, დედაქალაქის წიაღის სითბოს, ბირთვული, ოკეანეების მიმოქცევათა და სხვ. ენერჯის ელექტროენერჯის მისაღებად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დიდი ხანია იყენებენ. ახლა კი, როგორც ირკვევა, ჯერი საქართველოზე მიდგა. წლეულს ჩვენში პირველი ქარის ელექტროსადგური „ქართლი“ აშენდება, რომლის სიმძლავრეც ოცი მეგავატი იქნება.

ენერგეტიკოსები აღნიშნავენ, რომ ელექტროენერჯის ალტერნატიულ წყაროებს შორის ქარის ენერჯეტიკას, სადღეისოდ, ყველაზე მეტად კონკურენტუნარიანი ტექნოლოგია აქვს. სპეციალისტების გათვლებით, მსოფლიოში ქარის ელექტროსადგურების წილი მთლიან ენერჯეტიკაში 2025 წლისთვის 10 პროცენტს მიაღწევს, რაც ძალიან დიდი ოდენობაა.

ელექტროსადგური „ქართლი“ პირველი საპილოტე პროექტი იქნება, მას სახელმწიფო საკუთარი სახსრებით ააშენებს, პროექტის ღირებულება 30 მილიონი დოლარია.

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყნის ენერჯეტიკის განვითარების ფონდმა, პირველი ქარის ელექტროსადგურის პროექტის ტექნოლოგიური და ეკონომიკური კვლევა და შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნის პროცესი უკვე დაასრულა. სადღეისოდ, ენერჯეტიკის განვითარების ფონდსა და ბელგიურ კომპანია „ტრაცტებელ-ინჟინერინგთან“ საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმდა. კონტრაქტის პირობების თანახმად, ბელგიური კომპანია გორის მახლობლად ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, სამშენებლო მასალებისა და ტურბინების შესასყიდად საქართველოში საბჭოთა ტიპის მოამზადებს. ამის გარდა,

კომპანია „ტრაცტებელ-ინჟინერინგი“, ელექტროსადგურის მშენებლობის ეტაპსა და მისი ექსპლოატაციას დასწყებიდან ორი წლის მანძილზე მუშაობის მონიტორინგს გასწევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სს საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის თანამშრომლობა ბელგიურ კომპანიასთან საკმაოდ ნაყოფიერია: შიდა ქართლში ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის გარდა მისი სპეციალისტები ამჟამად ბუნებრივ გაზზე მომუშავე 500 მეგავატის სიმძლავრის თბოელექტროსადგურის პროექტის წინასწარ ტექ-

ყენებით საქართველოს წელიწადში, საშუალოდ, 4 მილიარდი კილოვატ/საათის ოდენობის ელექტროენერჯის მიღება შეუძლია. თანაც საგულისხმოა ისიც, რომ ქარის ენერჯის ელექტროენერჯად გარდაქმნის პოტენციალით ქვეყნის ტერიტორია თანაბარი რესურსებით არ ხასიათდება, რის შესაბამისად, იგი ოთხ ზონადაა დაყოფილი. კერძოდ:

● ქარის მაღალსიჩქარიანი ზონა, რომელიც სამხრეთ საქართველოს მთიანეთს, კახაბერის ვაკესა და კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილს მოიცავს. ამ მხარეებში სამუშაო პერიოდის სანგრძლივობა წელიწადში დაახლოებით ხუთი ათასი საათია;

● ნაწილობრივ მაღალსიჩქარიანი და დაბალსიჩქარიანი ზონა - ეს არის მდინარე მტკვრის ხეობა მცხეთიდან რუსთავამდე, ჯავახეთის ხეივანის სამხრეთი ნაწილი, შავი ზღვის სანაპირო ზოლი ფოთიდან კახაბერის ვაკემდე. სამუშაო პერიოდის სანგრძლივობა აქ წელიწადში, საშუალოდ, 4,5-5,0 ათასი საათია;

● დაბალსიჩქარიანი ქედების ეფექტიანი ექსპლუატაციის ზონა - ეს არის გაგრის ქედი, კოლხეთისა და დასავლეთ საქართველოს დაბლობები.

● დაბალსიჩქარიანი ქედების შეზღუდული გამოყენების ზონა, რომელიც მდინარე იორის ხეივანსა და სიონის წყალსაცავს მოიცავს.

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიის სხვა მხარეებს, იქაური დაბლობები და ქედები ქარის ელექტროსადგურების ასაგებად არაპერსპექტიული უბნებია.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობასა და ქართულ-ამერიკულ კომპანია „ქარტანს“ შორის, რამდენიმე წლის წინათ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 24-მეგავატისი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. ამდენად, სავარაუდოდ, ეს ქართულ ქარის ენერჯეტიკის „მეორე მერცხალი“ იქნება და მოყვება თუ არა ამ ჩიტუნებს გაზაფხული, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ნიწო ალექსანდრი

არ შეიძლება, რას აზრობენ „ნაფოს“ ოკეანისპირაში

ასე გამოეხატა დედაქალაქის მერი დავით ნარმანია მერიის მაღალჩინოსანთა სასამართლოების შესახებ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

მონიტორინგის ცენტრი „მედიატორი“ სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი მერიის მაღალჩინოსანების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. „მედიატორის“, დამფუძნებლის, მიხეილ ხაბეიშვილის ინფორმაციით, თბილისის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი 2011 წელს ნასამართლევი ბიუჯეტის თანხების მითვისებისთვის, რა თანხებიც სოციალურად დაუცველი ადამიანების დაზღვევისთვის იყო განკუთვნილი. მისივე თქმით, ჩივიაშვილმა 2011 წელს აღიარა ეს დანაშაული და მასთან გაფორმდა საპროცესო შეთან-

ხმება. „მედიატორის“ წარმომადგენელმა ამის ამასხველი ოფიციალური დოკუმენტაცია წარმოადგინა.

ხაბეიშვილის ინფორმაციით, მთაწმინდის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე საშუალო ხანაძე 2006 წელს ქურდული სამყაროს წევრობისთვის არის გასამართლებული; საბურთალოს რაიონის გამგეობის აპარატის უფროსი კახა გავაშვილი ორჯერ არის ნასამართლევი ფინანსური დანაშაულისთვის, ხოლო ამაღალადგვის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ვასილ ბექაური ნასამართლევია საბურთალოს ქურდობისთვის. ხაბეიშვილის თქმით, სანაძის, გავაშვილისა და ბექაურის ნასამართლობის მიმართულებით ოფიციალური დოკუმენტაცია არ მაქვს, თუმცა, მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სრულიად სარწმუნოა.

სატრანსპორტო დერეფანი

დიდი აბრეშუმის გზის დიდი მოგაგალი საქართველოსთვის

მსოფლიო სატრანსპორტო ქსელი და მისი ინფრასტრუქტურა საგრძობად იზრდება და სულ უფრო მასშტაბური ხდება. შესაბამისად იზრდება საქართველოს სატრანსპორტო სისტემის როლი და მნიშვნელობაც, რაც უდიდესი ნაწილია ტრასეების პროექტის განხორციელებაში.

ამის ნათელი დადასტურებაა ახალგახსნილ სარკინიგზო ხაზით ჩინეთიდან საქართველოში ტრანზიტული ტვირთების მიღება-გაგზავნა. როგორც ცნობილია, ტრასეებს პროექტის მონაწილე ქვეყნებმა შავი ზღვის რეგიონის პანევროპული სატრანსპორტო არეალის შემადგენელ ნაწილად აღიარეს.

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის სისტემაში საკვანძო რგოლის როლი ეკისრება ჩვენს საზღვაო ნავსადგურებს, რო-



გორც არსებულებს, ისე იმათაც, პერსპექტივაში რომ ამოქმედდებიან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ისინი კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებს მოემსახურებიან და გადაიტვიტვიან სატრანსპორტო პუნქტებად, საქართველოს საზღვაო სანაპიროზე კი წარმოიქმნება ტრასეებს დიდი საზღვაო-სატრანსპორტო-სანავსადგურო-სატრანსპორტო დელტა: ბათუმი-სუფსა-ვოთი-ყულევი-ანაკლია-სოხუმი, რომელიც უზრუნველყოფს დიდი აბრეშუმის გზისა და ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის პროგრამით გათვალისწინებულ წლიურად 60 მილიონ ტონამდე მოცულობის თხევადი, გენერალური და სხვა ტვირთნაკადების მიღება-გადამუშავება-გაგზავნას.

ამით საქართველოს სატრანსპორტო

სისტემა პანევროპულ სატრანსპორტო სივრცეში გაერთიანდა, რაც კომპლექსურ გავლენას ახდენს დღეისათვის (ჩინეთი - საქართველო) ჩვენს სატრანსპორტო სისტემაზე და საერთაშორისო სატრანსპორტო ქსელთან მის ინტეგრაციაზე.

ყოველივე ეს დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებაზე, მის სუვერენიტეტზე. რა თქმა უნდა, არსებობს პრობლემები და ისინი იარსებებენ, მაგრამ ვხედავთ, რომ მთავრობა ამ საკითხებზე აქტიურად მუშაობს, რაც იმის რწმუნას გვაძლავს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. წარმატებები ეუსურვით საქართველოსთვის ყოველმხრივ მნიშვნელოვან ამ ტრასას.

პეტრო პარია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

შაბათიდან შაბათამდე

პარლამენტარებს „ბნელი ძაღები“ ებრძვიან!

ბაბიკვირდებამ და გასული კვირის უმთავრესი თემები არა ოსკარის დაჯილდოება და არა მოახლოებული ახალგაზრდული ოლიმპიადი, არამედ გაუბედურებული ლარის კურსი, გაუბედურებული საგარეო პოლიტიკა და გაუბედურებული საპარლამენტო უმრავლესობა იყო.

ტელევიზიებზე ყურადღებას მხოლოდ იმიტომ გავამახვილებ, რომ „რუსთავი-2“-მა ისევ „გაგვახარა“ მახარა გზირის ბოდვების მოსმენით (მაპატიონ ამერიკელებმა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი ყოველთვის არამც თუ ყოფილი პრეზიდენტი, არამედ მახარა გზირი იქნება).

— კატამ თავი მოიკლაო!
— მე ღრმად მორწმუნე ვარო!
და კიდევ მრავალი სისულელე წამოროშა, როცა გიორგი გაბუნიასთან ისაუბრა.

კვლავ მინდა, დაეუსვა შეკითხვა კაპიტან გიგაურს და მის „ბანდას“:

— არის თუ არა სააკაშვილის მიერ ზურაბ ჟვანიას პირადი ცხოვრების მიმართ გაკეთებული განცხადება პიროვნების შეურაცხყოფა, ვითომცდა მისი ფარული მხარეების მიჩქმალვა?



და მინდა, ვკითხო ქართულ საზოგადოებას: არის თუ არა ძებნილი და კრიმინალი სააკაშვილის მხრიდან თქვენი დაცინვა?

ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ სააკაშვილის მხრიდან საკუთარ სტილში გაკეთებულ განცხადებებს უჭკველად გამოეხმაურებიან ქართული თოკ-შოუები და მათი ანონსი სავარაუდოდ ასეთი იქნება:

— რატომ გადახტა კატა მე-11 სართულიდან!
ექსკლუზიური ინტერვიუ კატის მშობლებთან!
— რა განაცხადა ძაღლმა, რომელიც ამ დროს კანცელარიასთან მდგარ სანაგვე ბუნკერში იქექებოდა!
— მე მას კნუტობიდან ვიცნობდი. იგი გადმოშტომი არ იყო. დარწმუნებული ვარ, გადმოაგდესო!

რაც შეეხება ლარის კურსს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განმარტებები იმ ანდაზას ჰგავს „მაძღარს მშვიდობა მაძღარი ეგონაო“.

ზუსტად ვიცი, რომ ნოემბერში ლომბარდში 400 ლარად (რომელიც დოლარში გაფორმდა) ჩაბარებული ნივთების გამოსასყიდმა ფასმა, თავნის და მაშინდელი კურსით გადასახდელის ზევით, სულ ცოტა 180 ლარი, ანუ მაშინდელ 100 დოლარზე მეტი შეადგინა.

არ დაგიმალავთ და ლარის „ინფარქტთან“ დაკავშირებით ექსპერტებთან კონსულტაცია გავიარე.

გაგიკვირდებათ და ვერც ფინანსთა მინისტრი და ვერც ე.წ. ვიცე-პრემიერი კვირიკაშვილი ვერ ფლობენ ლარის კურსზე იმდენ გავლენას, რამდენსაც ნაცბანდის მთავარი ბანკირი გიორგი ქადაგიძე.

უკაცრავად და... ჩემო ხელისუფლებავ:

— როდემდე უნდა ვითმინოთ მის და მისი დამქაშების საზინდარი საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველად?

— როდემდე უნდა იყოს საქართველოში ერთ-ერთი მომგებიანი ბიზნესი ლომბარდი და მიკროსაფინანსო მძარცველები?

სამუცბარი იყო „უცნობი ქალის წერილი“. საპარტიველოს პარლამენტის წევრმა, ადამიანის

უფლებათა დაცვის კომიტეტის თემჯდომარემ, ევროპარლამენტის რადაც კომიტეტის უფროსმა ეკატერინე ბესელიამ ბატონ ბიძინა ივანიშვილს დაბადების დღე საკუთარი ფენის უქის გვერდზე შემდეგი სიტყვებით მიულოცა:



„იუბილეს ვულოცავ სულით ხორცამდე ქართველს და ჩვენი ქვეყნის ქობაგს. უფალმა გააძლიეროს. სიტყვები უფლებილია იმ სიკეთესთან, რაც ბიძინა ივანიშვილს უკეთებია. ვისთვის ბანალურია და ვისთვის როგორ... ჩემთვის, ერთი ქართველისთვის მის მიერ გაღებული სიკეთე შეუფასებელია... მხოლოდ ისტორიას ძალუძს ამის სახელდება. დრო მეტად გამოაჩენს. რაც დღეს ცხადია, არის ის უამრავი ქველმოქმედება უჩუმრად რომ აკეთა და ბოლოს, საკუთარი ოჯახის რისკის ფასად, სიცოცხლის რისკის ფასად გაათავისუფლა ქვეყანა ყველაზე საშიში და ძალადობრივი რეჟიმისგან“.

ბესელიასი ნამდვილად არ მიკვირს. არ მიკვირს, რადგანაც მისი პიარმენეჯერი „რუსთავი-2“-ის „ყოფილი“ სახე ირაკლი მაისურაძეა (ჰოდა, რას ურჩევდა კარგს). მიკვირს ბატონი ბიძინასგან:

— რად გინდათ ასეთი „პაღხალიმები“ და მლიქვნელები?
— რად გინდათ, რომ საზოგადოება მსგავსი დიტირამების გამო გაღიზიანდეს?

როგორც იქნა დადგა ის ჟამი, რომელსაც საქართველოს იუსტიციის მინისტრი (ის მინისტრი, რომელსაც გიორგი გაბუნია გადამაძღვრა) ძალიან მოსწონდა და რომელიც „რუსთავი-2“-ის ბიუჯეტს სარეკლამო ფულებით აფინანსებდა) ელოდა. ანუ, საქართველოს პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურა დაასახელა.

ნამდვილად არ ვილაპარაკებ ქალბატონი ნინო გვენეტაძის არც პროფესიონალიზმზე, არც მის პრინციპულობაზე, რადგანაც ეს ყველაფერი ჩემი აზრით, ამ ღირსეულ კანდიდატს საკმაოდ მრავლად აქვს.

უბრალოდ მინდა იმ ქვასროლიებს ერთი დიდი კენჭი ვესროლო, რომლებსაც ე.წ. „მოსამართლე“ გიორგი ჩემია, ე.წ. „მოსამართლე“ ნატო სუჯაძე, სანდოქე და.შ ურჩევნიათ. ასევე მინდა, ორი ძალიან მარტივი შეკითხვა დავსვა:

— რატომ გაუჩნდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტის დასაკავებლად ამბიციური ზაქარია ქუცნაშვილი?
— ვისი ბრალია ეს?

საოცარია, მაგრამ ალბათ „ბნელი ძაღლების“. არ გაგიკვირდეთ. დიას, სწორედაც რომ იმ „ბნელი ძაღლების“, რომლებიც საქართველოს პარლამენტის წევრებს ებრძვიან.

„ეს არის საკითხი, რომლითაც მე არ ვაპირებ პოლიტიკური თამაშის წამოწყებას. ობიექტურად არსებობს გარკვეული პრობლემები, საკითხი არ ეხება ჩემი სამაჟორიტარო უფლებამოსილების განხორციელებას, არამედ კონკრეტულ საკითხებში ჩარევას არაუფლებამოსილი პირების მხრიდან. შესაძლოა, ძალიან სერიოზულად „ბნელი ძაღლების“ მხრიდანაც. ეს არის საკითხი, რომლის განხილვაც გუნდში უნდა მოხდეს. მე ოფიციალურად მივმართე „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ საბჭოს, რომ მოხდეს იმ ადამიანებთან შეხვედრა, რომლებმაც განახორციელეს გარკვეული ქმედებები.“

ჩემთვის მოულოდნელია, როდესაც ერთ-ერთი სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი არჩეული მაჟორიტარი დეპუტატის წინააღმდეგ ცდომილს გარკვეული ქმედებების დაგეგმვას. ამ ყველაფერს აუცილებლად გაეცემა შესაბამისი პასუხი.“

როგორც ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში იტყვიან ხოლმე, ბოდიში მამითხოვია, მაგრამ ეს განცხადება არის თუ არა საქართველოს კანონმდებლის საკადრისი ქართული?

რა „ბნელი ძაღები“, რის დევები და ჯოჯოები! გარდაბნულ მოლას მიაკითხეთ, ქალბატონო ელისო, ან გიორგი ჩამოკიდეთ თქვენი ჯიპის საქარე მინაზე და პარალელურად ნიორი და ვერცხლის ტყვია ატარეთ თან. ყვავის სისხლიც არ დაგავინყდეს...“

ამ სასაცილო თემით დავამთავრებ კვირის ამბების მიმოხილვას. აღარ შეგაშინებთ იმით, რომ ვახუჩელამ გიგი უგულავას პროცესი პროტესტის ნიშნად დატოვა და არა ჩაიდინა, კაცმა არ იცის. ამიტომ მომავალ შაბათამდე დაგემშვიდობებით.

როგორც ყოველთვის ამჯერადაც ასე დავამთავრებ: თბილისის მერიის ნაპურთხს დახანაბტაბს ებარებოდეთ!

გიგა გაბრიძია

მცირე ბიზნესი

შენ მარჯათი მითხარი!..

სამთავრობო ოთხკომპონენტიან პროგრამაში „ანარმოე საქართველოში“, ბუნებრივია, თითოეული მდგენელი უფლებსა და მნიშვნელოვანია, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ერთ-ერთი, კერძოდ კი „მიკრო და მცირე მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა“, მცირე მენარმეობის განვითარების ნახალისება“, მაინც გამოჩეულია. ამ კომპონენტის აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ სულ ცოტა ხანში, მარტის დასაწყისიდან, საქართველოს რამდენიმე მხარეში ამ პროგრამის რეალური განხორციელება დაიწყება.

პროექტის „ანარმოე საქართველოში“ ამ კომპონენტის შესრულების მიზნით მენარმეობის განვითარების სააგენტომ სექტემბერში, ქვეყნის მხარეებში მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროექტის პრაქტიკულად განხორციელებული ორგანიზაციების შესარჩევად ინტერესთა გამოხატვის პროცედურა დაიწყო. მთავრობის დადგენილების შესაბამისად, პროგრამის საკონკურსო კომისია შეიქმნა, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების, აგრეთვე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, ეკონომიკური საბჭოს აპარატისა და მენარმეობის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა.

პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის მიზანია ქვეყანაში წვრილ მენარმეთა მხარდაჭერა, მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთათვის შემოსავლის ზრდის შესაძლებლობის მიღება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ამ გზით სოციალურ-ეკონომიკური ფონის გამოკეთება. თუ ყველაფერი ჩანაფიქრისდა მიხედვით წარმართება, შედეგად მხარეებში მენარმეთა კონკურენტუნარიანობის დონე უნდა გაიზარდოს, საქმიანობის წარმართვის თანამედროვე ფორმები დაინერგოს, რამაც, ზოგადად, რეგიონებში ეკონომიკური აქტივობა საგრძობლად უნდა აამაღლოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის ხელშეწყობის მექანიზმი (მეთოდოლოგია), სამიზნე მხარეებში მოქმედ და დამწყებ მენარმე სუბიექტების (გარდა იურიდიული პირებისა), ასევე მენარმეთა ჯგუფების მიერ (არაუმეტეს სამი მენარმე სუბიექტისა, თანაც გარდა იურიდიული პირებისა) შექმნილ ამხანაგობებზე თანამონაწილეობრივ დაფინანსებას ითვალისწინებს.

თანდაფინანსების თანხის მაქსიმალური ოდენობა ერთ მენარმეზე 5 ათას ლარს შეადგენს, ხოლო მენარმეთა ჯგუფის (ამხანაგობის) შემთხვევაში — 15 ათას ლარს.

შარშანდელი ოქტომბრიდან მოყოლებული, მენარმეობის განვითარების სააგენტოში, პროგრამის აღნიშნული კომპონენტის ფრთაშესხმასთან დაკავშირებით, თოთხმეტი განცხადება შევიდა. ბოლო ორი თვის განმავლობაში სააგენტოში მათ შორის საუკეთესოთა შერჩევის პროცესი მიმდინარეობს, რის შედეგად საკონკურსო კომისიამ ორი არასამთავრობო ორგანიზაცია შეარჩია, რომლებიც 1 მარტიდან პროგრამის განხორციელებას დაიწყებენ. ესენია, კერძოდ, ა(ა) იპ საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია — საქართველოს სკაუტები და ა(ა)იპ რეგიონული განვითარების ასოციაცია (RDA). პირველი მათგანი მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის პროგრამას იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში განახორციელებს, ხოლო მეორე საზოგადოებრივი არაეული ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი იქნება. ორივე ორგანიზაციის წარმომადგენელთა მუშაობის შედეგად, ქვეყნის აღნიშნულ მხარეებში 1200 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. პროექტის განხორციელების დაწყებიდან ოთხ თვეში, ანუ 1 ივლისისთვის, ადგილებზე პროგრამის წარმომადგენლობითი ოფისები გაიხსნება, რომლის მიზნებს მოსახლეობის ფართო ფენებს დეტალურად გააცნობენ, შეირჩევა ბენეფიციარები, რომლებსაც ტრენინგებისა და სემინარების მეშვეობით სათანადოდ მოამზადებენ.

ამის შემდეგ დაიწყება პროგრამის მეორე ეტაპი, რადროსაც ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი და დამტკიცებული კონკრეტული ბიზნეს-გეგმები დაფინანსდება. დაინტერესებულ პირებს პროგრამის განხორციელებაზე თვალს მიდევნება და განახლებადი ინფორმაციის მიღება ვებ-გვერდზე www.gartlii.ge ანდა პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ცხელ ხაზზე 299 10 44 / 2 99 11 28 შეეძლება (ელექტრონული ფოსტა: info@gartyuli.ge) სამთავრობო უწყებათშორისა კომისიამ ჯერჯერობით გამარჯვებული ორგანიზაციები ვერ გამოავლინა რამდენიმე ლოტში, კერძოდ, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში, ასევე კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში, რის მიზეზის ისაა, რომ განსახილველად წარმოდგენილმა პროექტებმა პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა. ამასთან დაკავშირებით, თებერვლის დამდეგიდან, აღნიშნულ ლოტებზე კონკურსი ხელმოკრედ გამოცხადდა, რომელზეც განაცხადის შეტანა დაინტერესებულ ორგანიზაციებს 23 თებერვლის 12 საათამდე შეეძლება.

ოთარ ტურაბულიძე

რა დაეხმარება დოლარს?

პროვულა ბანკმა ეკონომიკიდან ამოიღო დოლარი და სანამ ეს თანხა არ დაბრუნდება, ბალანსი ვერ აღდგება

საბარტმელოს ეკონომიკაში შექმნილი ვითარება, რომელიც მეტწილად გაუფასურებულ ლარს და ინვესტიციების კლებას უკავშირდება, კვლავ აქტუალური განხილვის თემაა. საზოგადოების აზრი ძირითადად ორად იყოფა – ერთნი ეროვნული ბანკის და საგარეო ფაქტორების როლს გამოკვეთენ, ხოლო მეორე მხარე ძირითადად მთავრობის ბრალეულობას ხედავს, არა მარტო გაუფასურებულ ლართან, არამედ სხვა ეკონომიკურ მოვლენებთან მიმართებაშიც. მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, გვესაუბრება დამოუკიდებელი ექსპერტი, ახალგაზრდა ანალიტიკოსთა და მეცნიერთა დარბაზ „დოქტრინას“ დირექტორი მიხეილ ლუნეა.



– რას იტყვი ინვესტიციებთან დაკავშირებით და ხედავთ თუ არა კავშირს ინვესტიციების კლებასა და ლართან დაკავშირებულ ვითარებას შორის?

– ინვესტიციების თვალსაზრისით გაუარესება არ არის, იმიტომ, რომ 2013 წელს, თუნდაც 2014 წელს, უფრო მეტი ინვესტიცია არის შემოსული, ვიდრე 2012 წელს. უფრო მეტიც, მხოლოდ 2014 წლის 3 კვარტალში უფრო მეტი ინვესტიცია შემოვიდა, ვიდრე 2012 ან 2010-09 წლებში მთელი წლის განმავლობაში. მეოთხე კვარტალი ჯერ დათვლილი არ არის, მაგრამ პესიმისტური გათვლებით დაახლოებით 1,090 მილიარდი დოლარის ინვესტიციის მოლოდინი არსებობს, რაც ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელია 2008 წლიდან დღემდე.

გასაგებია, რომ უფრო ბევრი ინვესტიცია გვინდა, მაგრამ ინვესტიციების მოძრაობა ჩვენს სურვილზე არაა დამოკიდებული, ეს მრავალ ფაქტორს ეფუძნება. თავისუფალი ეკონომიკის არარსებობის კუთხით რომ რაიმე პრობლემა ყოფილიყო, მაშინ არ დაგწინაურდებოდათ 2015 წლის მსოფლიო ეკონომიკის თავისუფლების ინდექსში და არ მივალდებოდით ისტორიულ მაქსიმუმს ამ თვალსაზრისით, არ კიწებოდით ევროპაში მე-11 ადგილზე და მსოფლიოში 22-ზე. ასე რომ, ხელისშემშლელი ფაქტორები ინვესტიციების შემოდინების და დაბანდების კუთხით საქართველოში არ შექმნილა. უფრო სწორია ვთქვათ, რომ 2012 წელთან შედარებით უფრო მეტი ინვესტიცია შემოსული. ეს ერთი ფაქტორი, რომელიც გამოირიცხავს, რომ მოცემული სიტუაცია ინვესტიციების ბრალისა.

მე აქ სულ სხვა ფაქტორზე გავამახვილებდი ყურადღებას, რაც მნიშვნელოვანი წყაროა ვალუტის შემოდინების შეფერხებისა. საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, განსაკუთრებით 2003-12 წლების პერიოდში, განსაკუთრებით ძლიერად კომპენსირდებოდა ვალუტის დეფიციტი საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის ზრდით. მაგალითად, 2012 წელს საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 1,600 მილიარდით გაიზარდა, 2011-ში 1,400 მილიარდით, ანუ დაახლოებით მილიარდ ნახევრით ხდებოდა საგარეო ვალის ზრდა ყოველწლიურად, რითაც კომპენსირდებოდა ვალუტის დეფიციტი. დოლარის დეფიციტი, რომელიც ვალუტის გამყარების მთავარი ფაქტორია.

2013 წელი იყო პირველი წელი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი არათუ გაიზარდა, არამედ შემცირდა 50 მილიონი დოლარით, ეს ერთგვარი შოკური ეფექტის მატარებელია. როცა მიჩვეული ხარ იმას, რომ როცა, დოლარი მოგაკლდება, აიღებ სესხს და ყველაფერი დარეგულირდება და ერთ მშვენიერ დღეს ეს ფაქტორი არ იმუშავებს, ამ დროს სიტუაციის რეგულაცია ძალიან ჭირს. ამ დროს სხვა რელსებზე უნდა გადაერთო და ექსპორტზე

ორიენტირებული გახდეს, რაც მოხდა კიდევ. 2013-14 წლებში ჩვენი უფრო მეტი ზრდა გვაქვს, ვიდრე წინა წლებში.

სხვათა შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში ჰქვია, მუდმივად დეფიციტურია. შეგახსენებთ, ეს არის ვალუტის შედინებისა და გამოდინების ბალანსი, ეს მაჩვენებელი 2012 წელს იყო 1,800 მილიარდზე უფრო მეტი, 2011 წელს აგრეთვე ამ დონეზე, მაგრამ 2013 წელს განახევრდა და 900 მილიონი შეადგინა, ხოლო სავალუტო ფონდის ბოლო პროგნოზით 1,300 მილიარდია – მაქსიმუმი რასაც შეიძლება, რომ მიალწიოს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში, და რაც ნახევარი მილიარდით უფრო ნაკლებია წინა წლებთან შედარებით. შესაბამისად, თქმა იმისა, რომ გაუარესდა საგადასახდელო ბალანსი, გაუარესდა საინვესტიციო პოზიცია და ამან გამოიწვია ეს ყველაფერი, სწორი არ არის.

– მაშინ რას უკავშირებთ ლარის გაუფასურებას?

– სამი ფაქტორი მინდა გამოვყო, რამაც გამოიწვია ლარის გაუფასურება დოლართან მიმართებაში:

პირველი – დოლარის გამყარება საერთაშორისო მასშტაბით. დოლარი გამყარდა ყველა ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო ჩვენი ვალუტა გამყარდა დოლარის გარდა, თითქმის ყველა ვალუტასთან მიმართებაში, ეს არის ერთ-ერთი მთავარი და ფუნდამენტური მიზეზი, რამაც გამოიწვია ლარის გაუფასურება.

მეორე ფაქტორი არის საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის კუთხით სიტუაციის შეცვლა. ჩვენ ყოველწლიურად მივიღებთ ნახევარ ვალს ვიდრე ვადა, ახლა არ ვიღებთ ამ ვალს და მას შტაბით და, ბუნებრივია, ვალუტის შემოდინება ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შემცირებულია. კარგია, რომ ვალი უფრო მეტად არ გვეზრდება, ვიდრე ეკონომიკა, ანუ არ ვხდებით ვალზე დამოკიდებულნი, ხოლო ადრე ვალი უფრო მეტად იზრდებოდა, ვიდრე ეკონომიკა (ეს არის საბურთაშენიზაციისკენ მიმავალი გზა და მე არ ვარ ასეთი ეკონომიკური ზრდის მომხრე).

მესამე ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო ამ ყველაფერს, ეროვნული ბანკის მოქმედებაა. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, როცა იცი, რომ 2013 წელს გაქვს მსხვილი დაფარების პერიოდი, როდესაც ჩვენ 2008 წელსვე ვიცოდით, რომ 2013-ში ვალს ვერ ავიღებდით, ამ პერიოდში ეროვნული ბანკი ადგა და შეისყიდა ძალიან დიდი რაოდენობით დოლარი. 555 მილიონი დოლარი ამოიღო ეკონომიკიდან და მიმოქცევაში გაუშვა ლარი, ეს მოხდა 2013 წლის ნოემბრამდე. გაიხსენეთ, როდის დაიწყო ლარის პირველი გაუფასურების ტალღა, ზუსტად 2013 წლის ნოემბრის შემდეგ. შემდგომ იძულებული გახდა ეროვნული ბანკი, რომ 220 მილიონი დოლარი დაებრუნებინა ეკონომიკისთვის.

ეროვნული ბანკის ქმედება იყო შეცდომა, რადგან ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი ამოიღო ეკონომიკიდან, როცა მას ეს არ სჭირდებოდა. რას ამბობოდა ეროვნული ბანკი თავის ანგარიშში, როცა დოლარს ყიდულობდა? თურმე ეს იყო „ლარის ზედმეტად გამყარების საფრთხის თავიდან აცილება“. თუ ეროვნული ბანკის ვალი არ არის ლარის კურსზე ზრუნვა, მაშინ რატომ მიუთითებს თავის ანგარიშებში სავალუტო შესყიდვის აუცილებლობას, როგორც ლარის ზედმეტად გამყარების თავიდან არიდების მეოქსი? ესე იგი, მის ინტერესში შედის ლარის კურსზე ზემოქმედება. სანამ ეკონომიკას იმ თანხას არ დაუბრუნებ, რაც გამოართვი, ბალანსი ვერ აღდგება.

ესაუბრა შოთა გულბანი.

სოფალი



ნასოფლარის ნასვლად მნარმოებელი ბრენდი რომ გვქონდეს!..

საბარტმელოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სახელმწიფოს წინაშე მთელი სიმწვავეთა დადგა სოფლის განვითარების პრობლემა. იცვლებოდნენ ხელისუფალნი, მაგრამ არაფერი იცვლებოდა მოსახლეობისთვის. ის რომ, სოფლის გაძლიერებასა და მოუგვარებელი საკითხების მოგვარებაზე არავინ ფიქრობდა, იქიდანაც ჩანს, რომ 2002 წლიდან არ აღწერილა მათი მოსახლეობა. 17 წლის წინანდელი მონაცემებით, ქვეყანაში 3 668 სოფელი რეგისტრირდებოდა, აქედან 164-ში კი 1-დან 25 კაცამდე იყო დარჩენილი. მონაცემებიდან გამომდინარე, სტატისტიკოსები და ურბანისტები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ იქ სადაც 1-დან 10-მდე მოსახლე ცხოვრობდა, დღეს შეიძლება, მთლიანად უკაცრიელი იყოს. შესაბამისად, სპეციალისტთა ვარაუდით, გავერანებული სოფლების რაოდენობა 200-ზე ბევრად მეტს აღემატება.

სოფლის შესახებ რაღაც საკანონმდებლო ცვლილებების შეტანის მცდელობა შეგარდნადის ხელისუფლებას ჰქონდა. 1999 წელს, შესაბამისი კანონი გამოვიდა, მაგრამ ამას იქით საქმე აღარ წასულა, აცხადებენ ექსპერტები. ნაციონალურმა ხელი-სუფლებამ კი პრობლემა ერთი ხელის მოხრით გადაწყვიტა – სოფელში იძულებით ვერავის დაგვარუნებო. დღეს სხვა სიტუაციაა. მეცნიერები, დარგის სპეციალისტები წარმოადგენენ ქართული სოფლის აღდგენის რეალურ, დასაბუთებულ პროგრამას. პირველ ყოვლისა, მოტლანდის მაგალითი მოჰყავთ, როდესაც ის 60-იან წლებში მსგავსი პრობლემის წინაშე იდგა, რომელთა წარმატებით გადაჭრა 15 წელიწადში მოხერხდა. ჩვენი სპეციალისტები კი თვლიან, რომ ეს საკითხი ჩვენთან ბევრად უფრო იოლად მოგვარებადია, თუ სოფლად მცხოვრებს ექნება სტაბილური შემოსავალი და თითო ლარის საშოვნელად „ელიავაზე“ აღარ ივლის.

როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, პროფესორი პაატა კოლუაშვილი ამბობს, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სწრაფი, დაბალანსირებული განვითარების ყველაზე ეფექტური მექანიზმი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფარგლებში, მათი ურთიერთინტეგრაციაა. ამგვარი სისტემის ფორმირებით, გლეხებს მიეცემათ პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი სანარმოო ციკლის შექმნის შესაძლებლობა, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და პირველადი პროდუქციის მწარმოებელი დაინტერესებულია რეალიზაციიდან მნიშვნელოვანი მოგებით. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ჩნდება შესაძლებლობა არა მხოლოდ სოფლების, არამედ ნასოფლარების მწარმოებელ ბრენდად გადაქცევისა და მისი მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ის, რომ მწარმოებლებს, ფაქტობრივად, შეზღუდული აქვთ სარეალიზაციო ბაზარზე წვდომის შესაძლებლობა. მათს პროდუქციას, ძირითადად ყიდულობენ, ერთი მხრივ, გადამამუშავებელი კომპანიები. ისინი, ფაქტობრივად, გადაიქცნენ ბაიერიად გლეხობისა და თავისუფალ ბაზარს შორის. ამის ძირითადი მიზეზი შპს-ებისა და სხვა ორგანიზაციების მოგებაზე ორიენტირებული ინტერესებია – შეისყიდონ ნედლეული, პროდუქცია, რაც შეიძლება დაბალ ფასად.

სპეციალისტები გლეხის დაუცველ პოზიციაზეც ამახვილებენ ყურადღებას, რადგანაც ისინი იძულებულნი ხდებიან, დათანხმდნენ შესყიდვის არარეალურ ფასს. ეს კი ავტომატურად ინვესტ სოფლის მეურ-

ნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციისა და ადგილზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის მოშლას და, რაც მთავარია, სოფლად ცხოვრების გაუფასურებას. ინტერესთა ამგვარი კოფლიქტი გახდა მიზეზი სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციისა და აგრარული წარმოების პარალიზებისა, მიაჩნიათ მეცნიერებს. ამის გამო, ისინი თვლიან, რომ ისეთი სანარმოო ფორმების პროგრამების განვითარება, როგორებიცაა „იაფი სესხი“ „ანარმოე საქართველოში“ და მათზე სახელმწიფო რესურსის მიმართვა, ძირითადად გლეხებისაგან პროდუქციის შემსყიდველი ორგანიზაციების გაძლიერებას მოხმარდება, გლეხობისათვის კი უკუშედეგის მომტანი იქნება.

საქმეში ჩახედული ხალხი სოფლის აღორძინებისა და გაძლიერების საქმეში უპირატესობას სახელმწიფო მიწების და ქონების პრივატიზაციას ანიჭებს, მაგრამ იქვე სინანულით დასძენს, რომ სახელმწიფო მიწები და ქონება წინა ხელისუფლებამ საკუთარ ახლობლებსა და უცხოელებს დაურიგა (არა მხოლოდ ლამაზი თვალისათვის), მაგრამ ხელების ჩამოშვება არ ღირს, დარჩენილი ფასეულობები უნდა გადაეცეს ადგილობრივებს მიერ შექმნილ კოოპერატივებს, ამას კი საკანონმდებლო ბაზის შექმნა სჭირდება. „ნაცების“ დროს ამ კუთხით შეგნებულ და თუ უვიციობით დაშვებულ შეცდომებზე საუბრობს პროფესორი, დემოკრაფი ავთანდილ სულანერიძე. იგი ამბობს, რომ რამდენიმე წლის წინათ, პრობლემებზე შექმნილ უმაქნის კომისიებში, მხოლოდ მთავრობის წევრები შედიოდნენ. საერთოდ იგნორირებული იყვნენ პროფესიონალი დემოგრაფები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები და სხვა.

იქმნებოდა სხვადასხვა საკითხზე მომუშავე არაკვალიფიცირებული კადრებით დაკომპლექტებული კომისიები, ისიც მხოლოდ ევროკავშირის დასახნადა, რადგან ამ საერთაშორისო ორგანიზაციიდან მილიონები გამოიყოფოდა არსებული მოსავლარებზე, მაგრამ ხალხთან ერთი თეთრიც არ მიდიოდა. ისეთ აბურდულ მდგომარეობაზე მივედით, რომ დღეს უკვე საჭიროა ახალი კომისიის შექმნა ძველის გასაუქმებლად.

ასეთ ვითარებაში სასიამოვნო მოულოდნელობა გახდა ბოლო 2-3 თვის განმავლობაში მომხრელებული სათბურები, სადაც ძირითადად ბოსტნეული მოჰყავთ. მათი გაძლიერების შემთხვევაში სერიოზული კონფერენტი გაუჩნდება უცხოეთიდან შემოტანილ უზარისხო, შხამქიმიკატებით გაჯერებულ პროდუქტს, თუმცა, ამ ბოლო დროს, შესაბამურებს სერიოზულად ადარდებთ მათი ძირითადი გამათბობლის – ბუნებრივი აირის შესაძლო გაძვირების პერსპექტივა. სხვა მხრივ, მათ დაბრკოლებები არა აქვთ, ამტკიცებენ სოფლის მეურნეობის ექსპერტები და სპეციალისტები. ისინი გადაუდებელ ამოცანად მიიჩნევენ სათბურების სტაბილურობისა და გამრავალფეროვნებისთვის სახელმწიფომ გაზარდოს პროდუქციის შესყიდვის ფასი. მეცნიერები საჭიროდ თვლიან, რეგიონებში მეტი ყურადღება მიეცეს ადგილობრივი, მსოფლიო დარგების განვითარებას. ყველა სოფელი უნდა გადაიქცეს თავისი დაგროვილი გამოცდილებით მწარმოებელ ბრენდად, ამბობენ ისინი და იქვე ხელისუფლებას შეახსენებენ, რომ წარმოებაში კონკურენცია ოპტიმალური რეგულირების უძლიერესი, უნივერსალური მექანიზმია. წინა ხელისუფლებამ მიზანმიმართულად არ ახორციელებდა მას, რაც საქონელმწარმოებლებსა და შემსყიდველებს ერთნაირი ძალეობით ურტყამდა.

ზაზა ბილინძა

სივარტლე კი ასეთია

„სამართალი“ გამჭვირვალობა – საქართველოს ინფორმაციით, აჭარაში საინვესტიციო პროექტების სამშენებლო პროცესი უმეტესად, შეფერხებულია, თუმცა მთლიანად შეწყვეტილი არ არის. ამ მოსაზრებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება აჭარის მთავრობა. სტატისტიკური მონაცემებით, აჭარაში ინვესტიციები, შარშანდელთან შედარებით, 42%-ით არის გაზრდილი.


არასამთავრობო ორგანიზაციის ცნობით, მშენებლობის ვადის დარღვევის პრობლემა ყველაზე მეტად აჭარაშია, სადაც საინვესტიციო პროექტების სამშენებლო პროცესი უმეტესად შეფერხებულია, თუმცა, სრულიად შეწყვეტილი არ არის. არასამთავრობო ორგანიზაციაში მთავრობისგან გამოთხოვილი ოფიციალური დოკუმენტების ანალიზის შედეგად აცხადებენ, რომ „პოლიდეი ინის“, „კემპნისკის“, „პოქელ რეინას“, „პოტელ პრინცესას“ ბრენდის სასტუმროების აშენების ვალდებულება არც ერთ ინვესტორს ხელშეკრულებით ნაკისრი არ აქვს – ამ ბრენდების სასტუმროების მშენებლობის შესახებ ცნობილი პოლიტიკოსთა საჯარო განცხადებებიდან გახდა. კვლევაში ასევე მითითებულია, რომ „ტრამპ თაუერისა“ და სასტუმრო „პონტოს“ მშენებლობის შესახებ ინფორმაცია აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საერთოდაც არა აქვს. მშენებლობის ვადას ყველა კომპანია არღვევდა როგორც წინა, ისე მოქმედი ხელისუფლების დროსაც.

კერძოდ, სასტუმრო „პოლიდეი ინის“ მშენებლობისთვის ტერიტორია აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2008 წლის 2 ივლისს შპს „არაი ჯორჯიაზე“ 3 მილიონ დოლარად მისცა იმ პირობით, რომ სასტუმროს მშენებლობა 2010 წლის ზაფხულში უნდა დასრულებულიყო. ამ ეტაპზე მშენებლობა არ მიმდინარეობს, თუმცა შენობის ძირითადი ნაწილი უკვე აგებულია.

2014 წელს ხელშეკრულებაში შესული ცვლილებებით კი მშენებლობის დასრულების ბოლო ვადად მითითებულია 2015 წლის 1 მაისი. ცვლილებებთან ერთად, 2014 წლის მაისში, მფლობელ კომპანიას, აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, 400000 დოლარის ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

„კემპნისკად“ წოდებული სასტუმრო, რომლის მშენებლობა ბათუმის საფეხბურთო სტადიონის ტერიტორიაზე 2009 წლის ბოლოს უნდა დასრულებულიყო, ამ დრომდე დაუმთავრებელია. ამ ეტაპზე ძირითადი შენობა აგებულია, მაგრამ მოსაპირკეთებელი სამუშაოები არ მიმდინარეობს. ობიექტი 2006 წლის ოქტომბერში, 2 მილიონ დოლარად გადასხვია აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ.

სასტუმრო „პრინცესა“ (ძველი ფოსტის შენობა) ბათუმში, მეტად აბაშიძის 33-ში მდებარეობს. ამ დროისთვის ობიექტზე სამშენებლო სამუშაო პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ხელშეკრულებაში ბოლო ცვლილება 2014 წლის 30 მარტს შევიდა და სასტუმროს მოქმედების თარიღად 2016 წლის 30 იანვარი განისაზღვრა.



შინ როგორ ითვლის აჭარულ ინვესტიციებს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევაში მოქცა სასტუმრო „რეინა“, რომელიც მეტად აბაშიძის 34-სა და დუმბაძის ქუჩა 16-18-ში მდებარეობს. 1 აფთიაქის ყოფილ შენობაში, სადაც სასტუმრო უნდა განთავსდეს, შენობის განახლებისა და იქ სასტუმროს მოწყობის სამუშაოები ამ დრომდე არ მიმდინარეობს. უძრავი ქონება და მასზე გაპროექტებული მიწის ფართობი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2011 წლის 28 იანვარს 1 მილიონ დოლარად გაასხვისა.

თავის მხრივ, შპს „უასმინა“ 16 თვის ვადაში 40-ნომრიანი სასტუმროს, რესტორნის მშენებლობის და საქართველოს 80 მოქალაქის დასაქმების ვალდებულება აიღო, მაგრამ დათქმულ ვადაში (2012 წლის ივნისი) პირობები ვერ შეასრულა.

„ენვილ ბათუმად“ წოდებული 150-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა დაგეგმილი იყო ბათუმის ახლადშემოერთებულ დასახლება კახაბერში. შპს „ენვილ ბათუმს“, რომლის მენილეები უკრაინის მოქალაქეები ვოლოდიმირ და ანატოლი დრობოტები არიან, ქონება 2012 წლის 10 აპრილს პირდაპირი მიყიდვის ფორმით ერთ ლარად გადაეცა. მშენებლობა ამ მისამართზე საერთოდ არ დაწყებულია.

აღებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კომპანიას დაეკისრა ჯარიმა 56 304 ლარის ოდენობით, ერთ ლარად გადაცემული ქონება კი ისევ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას დაუბრუნდა. ამჟამად კომპანიის წარმომადგენლობა ხელშეკრულებაში მითითებულ იურიდიულ მისამართზე საერთოდ არ იმყოფება.

არასამთავრობო ორგანიზაციის ანეული თემა მისივე გამოიყენა ნაციონალურმა მოძრაობამ და ცეცხლზე ნავით დაასხა. ნაციონალური დეპუტატმა, შუახვევის მაჟორიტარმა ომარ მეგრელიძემ პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სახი გაუსვა, რომ აჭარაში ისეთი პროექტებია გაჩერებული, რომელიც რეგიონს, საქართველოს და მის ბიუჯეტს დაეხმარებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, რეგიონის ხელისუფლების უნიათობის გამო გაჩერდა. მისი თქმით, აჭარის მთავრობასთან ელემენტარული კომუნიკაციის პრობლემა არ არსებობს.

„უფრო მეტიც, ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ორივე შტო – აღმასრულებელი და საკანონმდებლო დაკავებულ იყო მხოლოდ იმით, რომ დარბოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთი მისიით – თუ ვინ მოიპოვებდა უფრო მეტ გავლენას რეგიონის მართვაში“, – განაცხადა მეგრელიძემ.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე კი აცხადებს, რომ არც ერთ ინვესტორს, გარდა ერთისა („ენვილ ბათუმის“), აჭარა არ დაუტოვებია, ხოლო კონკრეტულ ოპერატორებთან შეთანხმებას სასტუმროს ინვესტორები აწარმოებენ. მსგავსი განცხადება გააკეთა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ბოჭორიშვილმა.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი დავით ბალაძემ კი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს გამოეხმაურა, აღნიშნა, რომ კვლევისას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სიზუსტე და სიფრთხილე ვერ გამოიჩინა.

„მცდარი ინფორმაციის გავრცელება ცუდად მოქმედებს როგორც ბიზნეს გარემოზე, ასევე ინვესტორზე, რომელსაც სურს, რომ რეგიონში საქმე წამოიწყოს და ინვესტიცია განახორციელოს“, – აცხადებს ბალაძე.

მისი ინფორმაციით, აჭარაში ინვესტიციები არ შემცირებულია, რადგან სტატისტიკა კვლევის შედეგის საპირისპიროს ადასტურებს. „მინდა, გითხრა, რომ ინვესტიციები იზრდება. კერძოდ, 2014 წლის ინვესტიცია 276,5 მლნ აშშ დოლარია და 2013 წელთან შედარებით 42%-ით არის გაზრდილი“, – აცხადებს ბალაძე.

ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია ტურიზმის სექტორში ჩაიღო, მასზე მოდის ინვესტიციების 43%, მეორე ადგილზე მშენებლობაა – 32%-ით, ხოლო შემდეგ ენერჯეტიკა – 18%-ით.

ზაქა დანელია

ზინათფენელოვა

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დღგ-სგან და K2 ტიპის მოსაკრებლისგან გათავისუფლდეს ის ობიექტები, რომლებზეც სამშენებლო ნებართვა გაცემულია 2008 წლის აგვისტომდე და დღემდე ძალაშია. ჩამოინერება 100-დან 200 მილიონ ლარამდე. ამის შესახებ შურალისტებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა ხუციშვილმა განუცხადა. „ეს შეეხება 15 000-ზე მეტ ფიზიკურ პირს და 15-ზე მეტ კომპანიას. ხუციშვილი ამ ეტაპზე კონკრეტულ კომპანიებს არ ასახელებს. ეს შეღავათები წესდება იმ პირობით, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში ობიექტებზე გაგრძელდება სამუშაოები და ამ სამი წლის განმავლობაში დასრულდება მშენებლობა. ეს შეღავათები წესდება ზოგადად დარგისთვის“, – განაცხადა ხუციშვილმა. მისივე თქმით, მთავრობას მომზადებული აქვს შესაბამისი კანონპროექტი და ეს ინიციატივა ძალაში პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღების შემდეგ შევა. **bpn.ge** „ცენტრ-პოინტის“ წარმომადგენელს პასტანა რჩაულიშვილს და მენაშენია ასოციაციის ხელმძღვანელს ირაკლი რუსთომაშვილს დაუკავშირდა.

თაღლითები თუ დაზარალებულები?

ტილება რომ არ მიეღოთ, გადასახადს ვერ ამოიღებდნენ. და, ამავდროულად, კომპანიებსაც გააკოტრებდნენ. ახლა კი კომპანიები გადარჩებიან. აქტივებს შეინარჩუნებენ, მშენებლობას გააგრძელებენ და კლიენტებსაც გაისტუმრებენ. ეს კი, რა თქმა უნდა, ეკონომიკასაც დაეხმარება. ამიტომაც არის, რომ მხარს ვუჭერთ და მივესალმებით ამ გადაწყვეტილებას. „ცენტრ-პოინტის“ შემთხვევაში, მოუწესრიგებელი რჩება თბილისის და ბათუმის მერიის მიერ ჩვენთვის უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საკითხი, რაც ათეულობით მილიონ დოლარს აღწევს. თუმცა, ეს სასამართლოს გზით მოსაგვარებელი საკითხია და ამ კონტექსტში არ განიხილება. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იცით რა არის? გაირკვა, რომ ჩვენ თაღლითები კი არა, დაზარალებულები ვართ, ვინაიდან ომის შემდეგ დაზარალებულ კომპანიებს უწევს ამ შეღავათს. ეს ჩვენს კომპანიას ყველაზე მეტად შეეხო, ვინაიდან იმ დროს სამშენებლო ბაზრის 55% გვეკავა“.

წინა ხელისუფლების პერიოდში რვა საშენებლო კომპანიის ხელმძღვანელმა თაღლითობაში იმყოფებოდა

ირაკლი რუსთომაშვილი: „მთავრობის ამ გადაწყვეტილებას საგადასახადო ამნიშობას, ალბათ, ვერ ვუნოდებთ, რადგან კონკრეტული ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, ომის პერიოდში დაზარალებულებთან გვაქვს საქმე. ვინც ომის მერე დაინყო მშენებლობა, მასზე უკვე ბიზნესის და საბაზრო ეკონომიკის კანონებმა უნდა იმუშაოს. ერთ ფაქტს გავიხსენებ. 7 აგვისტოს ერთ-ერთმა კომპანიამ მიიღო შეტყობინება, რომ მშენებარე სახლებისთვის ფოთში ლიფტები ჩამოვიდა. მაგრამ მათ ტვირთის განაბაყება და ჩამოტანა ვერ მოახერხეს საომარი მდგომარეობის გამო. ხოლო მოგვიანებით, როცა ფოთში ჩასვლა შესაძლებელი გახდა, საწყობის ღირებულება გადაახდევინეს ტვირთის შენახვისთვის. უკან დაბრუნებულილებმა მოსახლეობისგან საყვედური მიიღეს, მშენებლობა დაგვიგვიანო. ბანკმა პროცენტი დაარიცხა. ანუ, ყველაფერმა მშენებლის კისერზე გადაიარა.“

მთავრობის ეს გადაწყვეტილება არაერთ პრობლემას ქრის. დასრულებულ ბინებში, სადაც მოსახლეობა უკვე ცხოვრობს, მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებული არ არის. კომპანიამ კონკრეტულ მოქალაქეს ფართი რომ გადაუფორმოს, საგადასახადო დავალიანების დაფარვა აუცილებელია. ამის გამო ბინების ექსპლუატაციაში შესვლა, მეპატრონეზე გაფორმება ვერ ხერხდებოდა. ასეთი გადაუფორმებელი ფართები დაახლოებით 30-40 პროცენტია. საუბარია უზარმაზარ კაპიტალზე, რომელიც არა მარტო კონკრეტული მოქალაქის საკუთრებაა, არამედ, როგორც ჩემი, ასევე, ბევრი ექსპერტის ხედვით, ქვეყნის კაპიტალიცაა. მაგალითად, პიროვნებას აქვს ბინა, რომელიც 50 000 დოლარი ღირს და ოფიციალურად არ აქვს გაფორმებული. თუ მას ახალი ბიზნესის წამოწყების

შანსი გაუჩნდება, იმის გამო, რომ ბინა გაფორმებული არ არის, ბანკიდან სესხის აღება და შესაბამისად, ბიზნესის წამოწყებას ვერ შეძლებს. ანუ, ეს გადაწყვეტილება შესაძლებელს გახდის, მოხდეს უკვე აშენებული ბინების ოფიციალური რეალიზაცია და სხვადასხვა საქმიანობისთვის გამოყენება. არის სხვა შემთხვევებიც. როდესაც კონკრეტულ კომპანიას საგადასახადო დავალიანება, ან, გადავადება აქვს, და ის ამ გადასახადს ვერ იხდის. ამ შემთხვევაში იწყება გაკოტრების პროცედურა. წინა ხელისუფლების პერიოდში, რვა სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელმა თავი მოიკლა ხელისუფლებისგან შუქარის გამო. სამშენებლო და სხვა სახის კომპანიებზე წნეხი უკვალოდ არ დაკარგულა და თავისი უარყოფითი შედეგები გამოიღო. სახელმწიფომ დღეს დაინახა, რომ კრიზისის შემთხვევაში, მით უფრო, თუ ეს კრიზისი ომით არის გამოწვეული, კომპანიებს უნდა დაეხმაროს. მთელს მსოფლიოში, მათ შორის, ამერიკასა და ბრიტანეთში, კრიზი-

სის დროს სახელმწიფო დაეხმარა სამშენებლო კომპანიებს. ჩვენთან ეს არ მოხდა, რამაც პრობლემების დაგროვება გამოიწვია. ამით მხოლოდ ბანკები გამოდრდნენ. იყო შემთხვევები, როცა კომპანიას 14%-იანი სესხი უნდა მიეღო ბანკისგან, მაგრამ ომის შემდეგ, ბანკმა რისკების გაზრდის გამო, პროცენტი გაზარდა. ამის დოკუმენტები არსებობს.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ კომპანიები, რომლებსაც აქვთ საგადასახადო დავალიანება, ახალ საქმესაც ვერ იწყებენ. არც ინვესტორი, არც ბანკი არ აფინანსებს კომპანიას, რომელსაც დავა აქვს საგადასახადო ორგანოებთან. ანუ, ჩაკეტილი წრე შეიკრა. ჩვენ ეს წინადადებები მთავრობასა და პარლამენტში ორნახევარი წლის წინ შევიტანეთ. ჩვენი მოთხოვნა იყო საგადასახადო შეღავათების და არარეალური გადასახადების ჩამოწერა. ერთ-ერთი საკითხი კი ბანკებისთვის არაპროფიულური ბიზნესების აკრძალვა იყო. როგორც ჩანს, მოგვიანებით, მაგრამ, მაინც მიხედნენ ჩვენი წინადადებების მართებულობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნაბიჯი უფრო ადრე რომ გადაედგა მთავრობას, ლარი დღეს ასეთი პრობლემური არ იქნებოდა. თუ სახელმწიფომ ამნიშობა პატიმრებს გამოუცხადა, ეს ბიზნესის მისამართითაც უნდა გაკეთებულიყო. ბიზნესსაც ხომ ძარცვავდა სახელმწიფო ხელისუფლება. მაგრამ, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ამ ნაბიჯის შემდგომ ინვესტორებიც გააქტიურდებიან, რადგან ისინი მოლოდინის რეჟიმში იყვნენ. მაგალითად, მშენებლობაა ყიფშიძის ქუჩაზე, რომლის დამატებითი ღირებულების გადასახადი 6 მილიონია. მის დასრულებას 20 მილიონი სჭირდება. ანუ მოგებას ტოვებს მილიონს. გამოდის, რომ კომპანიამ მის დასრულებაში უნდა ჩადოს 26 მილიონი, რომ 1 მილიონი აიღოს. ეს არის ბევრად უარესი, ვიდრე ბანკში თანხის შეტანა და იქიდან დეპოზიტის აღება. 6 მილიონის ჩამოწერის შემთხვევაში კი ინვესტორისთვის ამ მშენებლობის დასრულებაში ფულის ჩადება უკვე მისაღებია. დაახლოებით 700-1000 ადამიანიც დასაქმდება. სახელმწიფო უნდა მიხედვს იმასაც, რომ ერთ დიდ ინვესტორს ბევრად სჯობია შეღავათით მცირეთანხანი ბევრი ინვესტორი. ეს ეკონომიკას უფრო წაადგება“.

ნონა ბურნაძე

წინა საუკუნეებში ვერხვები ფიქრით და ისევ და ისევ ვხედავ იმ ნორჩ ასულს, რომელიც დიდი სამეგობროს თვლიდა და პოეტის მამა მის ლამაზ მომავალს ჭვრეტს!

კარგა ხანია მას აქვთ, რაც სევდის პოეტად აღიარებულ კოტე მაცაშვილის მდელი დაინტერესებული, მის და-ძმას ქალბატონ ნუგეშა და ბატონ შალვა მაცაშვილებს ვეწვივ, გავუხილავ ჩანაფიქრს, აღმედგინა როგორც ხატმწერს ლეგენდად ქვეყნის მართლმადიდებლის იერსახე სხვადასხვა შექმნილი მხრით!

ჩემი ჩანაფიქრი განხორციელდა 1989 წლის იმ დიდი ტრაგედიის კვალდაკვალ, დედათბილისს და არა მარტო თბილისის, მთელ საქართველოს რომ დაატყდა თავს - რაც უხეში რუსული სამხედრო ძალის ჩარევამ გამოიწვია მშვიდობიან, გულანთებულ ქართველთა შორის, და დიდი მსხვერპლი მოჰყვა!

მათ შორის გაიფიქრებდა კოტორ-ტაბახმელის ფონზე მოძმეთა დასახმარებლად მოწყალეების დადგენილი სტუდენტი მართლმადიდებელი!

... ეს ამბავი ზღაპარს გავს, მაგრამ ზღაპრით მდინერი დასასრული როდი აქვს! ვიდრე ქვეყნის სიყვარულით შეპყრობილი 19 წლის გოგონა თავის მტკიცე მიზანს დაისახავდა, - დაჭრილი თანამოძმეთ ამოღებულად გვერდში, ის ტრეკებთან ერთად ეწაფებოდა სწავლა-განათლებლას, ბევრს კითხულობდა, წერდა, ეს არც არის გასაკვირი - მამა პოეტი, ბებია - ეკატერინე გაბაშვილი - მწერალი, ანუ ბუნებრივად შემოქმედი და ამავე დროს ეროვნული სპორტული საზოგადოება „შეგარდენის“ წევრი - იგივე და მარიაში! ... ასე, და-ძმად მოისხენიებდნენ შეგარდენელები თავის წევრებს.

სწორედ ნაწროობა ჯანსაღმა სულმა უბიძგა იმ ნაბიჯს, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა! დარჩა დიდი მშობლიური დარდი, მეგობართა სასწრაფო თხოვნა, თავიანთი მშვიდობის სინანული და უდიდო ღამეებში ნაწერი დღიური თვით მოწვევით დროიდან - ამიტომ გასაკვირი არაა, სწორედ მოზარდები რომ ეწაფებიან მისი ცხოვრების ეპიზოდებს, რასაც მართლმადიდებლობით უმხელდა საკუთარ თავს და ზოგჯერ გარეგნულად კი გრძობდა - „მგონი“ - ეს სიტყვა მას ახსენებდა, როცა თავის გულის კარნახს, გულის ხმას მიაყურებდა - „მგონი პატე მომწონს!“ არადა, მერე მიხვდება, რომ „ის“, - თეთრწიხიანი ვაჟივ მოსწონებია, რასაც მხოლოდ ისევ და ისევ დღიურს ვაუხმეხს. თეთრად ათენებს; დედის შენიშვნაზე, რომელიც პირმშოს ხშირად თეთრად გათენებულ ღამეებზე ჯავრობს, წამოიძახებს, - „ოჰ, დედა, დედა!“ ჩანს, მამა უფრო დაინტერესებულია შვილის ლიტერატურული ჩანაწერებით - დღიურში ხომ მოთხრობებიც აღმოჩნდა: „გაზაფხული“ და „ფიქრები წყაროსთან“, რაც შთამომავლობის მადლად მიაჩნდა არა მარტო პოეტ მამას, არამედ მის ახლომედი მწერლებსაც და მართლმადიდებლის შემდეგ წიგნადაც კი აპირებდნენ გამოცემას, მაგრამ სამწუხაროდ, ეს კეთილი სურვილი თავისუფლებადკარგულ საქართველოში განუხორციელებელი აღმოჩნდა. მხოლოდ 1990 წელს გახდა შესაძლებელი მათი გამოქვეყნება ოპოზიციური ლიტერატურის ვრცელ „ამირანში“, როცა მისმა შემდგენელმა, მწერალმა ნოდარ წულუკისკინმა, თავაზიანად მოხოვდა, მომეძებნა მართლმადიდებლის მოთხოვნები.

და აი, მას შემდეგ, რაც და-ძმა მაცაშვილებს ვეწვივ, სურვილით, აღმედგინა მართლმადიდებელი ხატი და მართლმადიდებელი სული, - ქალბატონი ნუგეშა იტყვის:

„მართლმადიდებელი ჩემი ოჯახში იდუმალეობით იყო მოცული და ამიტომ იგი ჩემთვის ახლომედი იყო და შორეულიც - ზღაპრული“ ... მერე ახსენებს დედის საწოლთან დაკიდებულ მართლმადიდებლის მისივე ხელით ამოქარგულ ჩარჩოში - სწორედ ეს დღითიმშვენიერი (როგორც იტყოდა ოჯახის ახლომედი ბატონი კონსტანტინე გამსახურდია) სახე გვიმზერს 1996 წელს გამოცემული იმ წიგნის ყდიდან, რომელსაც 1990 წელს მაშინდელ სათაო, ჯერ კიდევ „კომუნისტად“ წოდებულ გაზეთში გამოქვეყნებული ნარკვევის დარად „შარავანდედი“ დაეარქვა.

- სხვათა შორის, იმ პირველი ნარკვევის ჟანრის განსაზღვრა აღტაცებულ რევამ ჯაფარიძეს გაუჭირდა კიდევ: „არ ვიცი, რა დაეარქვა“, - ნარკვევი ევოლუცია „ესე, ნოველა, მოთხრობა!“ შთაბეჭდილებას

შთაბეჭდილება ემატებოდა - საჩუქარი უწოდა უცხოეთიდან ახლად დაბრუნებულმა გურამ შარაძემ შინ მისთვის დაგროვებულ პრესაში იმ გაზეთს, რომელშიც ჩემი „შარავანდედი“ იყო!

- მერე ეს ყველაფერი ერთ წიგნად შეკრული სამჯერ გამოიცა! - 1996, 2001, 2009! - 1997 წელს კი რუსულადაც ითარგმნა ურნალ „ლიტერატურაშია გრუზიაში“ მათი მეზობლების მიერ №7, 12, საიუბილეო) - „Opeon“ და ლექსები კოტე მაცაშვილისა, რაჟდენ გვეტაძისა, თამარ ერისთავისა - დისწულის! - თარგმნილი გივი ორაგველიძისა და ვლადიმერ სარიშვილის მიერ. დიდი ვატაცებით გამართა რამდენჯერმე ანსამბლ „ბოლნელის“ დამარსებელმა ქორეოგრაფმა კობა ჟღერტმა ბოლნისკაზრეთში საღამოები და ქართული დარბაისლობით მივიწვია „საქართველოს რესპუბლიკის“ წარმომადგენლები, მხატვრები, მსახიობები, ისტორიკოსი ლევან სანიკიძე, რომელიც ამზობდა, საქართველოს ახალი დროის ისტორიას ვერ და შენეული ნაღვარი ძალზე დაემხმარებოდა.

თებერვლის მოუშუშებელი ტრილოზა

ხსოვნა გულისა

დღემდე აჩვენებენ ტელევიზორზე საპატრიარქოს არხით მკვლევარისა და ურნალისტის ნინო ხოფერიას მიერ გადაღებულ მოკლემეტრაჟიან, მაგრამ ტველ და ემოციურ ფილმს მართლმადიდებლის ჩვენთან და ჩემი მონაწილეობით.

დაუვიწყარია შეხვედრა ურნალისტი ლია ხმალაძის თაოსნობით, რომელმაც ჩემი საავტორო დღის ადგილის დედად საგურამო, ილია ჭავჭავაძის კარნიდამო აირჩია. იმ დღეს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ერთმანეთის მონაცვლეობით ჩაიკითხეს ნაწევრები „შარავანდედიდან“.

ცხოველი ცნობისწადილი გამოამუღავნა მათი სულიერი წინაპრის ბედის მიმართ თვით თბილისის ივანე ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ახალმა თაობამ. განსაკუთრებით ახლომედი აღმოჩნდა ეს თემა პროფესორი მამის გულა საითიძის კვლავ მავალი გოჩა საითიძისათვის; სწორედ მამის გაიცანი ეს მუყაითი ჭაბუკი.

არაერთი გადაცემა მიუძღვნია თავის მხრივ ჯერ კიდევ ურნალგაზეთებში გამოქვეყნებული ჩემი ული მასალებისთვის ცნობილ რადიო-ურნალისტს ივანე ჯაფარიძეს, დავით აღმაშენებლის პრემიის ღირსეულ კავალერს.

განსაკუთრებული ერთგულებით გამოიჩინებინა ქართველ ჟანა დარჯვად წოდებულ მართლმადიდებლის მიმართ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის წევრები - მადონა გვენეტაძის (რადიოსტუდია), ნელი ნიკურაძის (საინტერესო შეხვედრათა კლუბი „რანდეკუ“), ფაცია პაიჭაძის ტრადიციის გამგრძელებლის, პოეტ ლალი ჯაფარაშვილის აღსაზრდელები.

არაგალი ფართოა! ზესტაფონის ახალგაზრდულმა თეატრმა „ცისფერი ნიამორები“ მათი მუშაობა-კახნიაშვილის მიერ ინსცენირებული „შარავანდედი“ მოხიბლა თანაქალაქელები.

„ღვთისმშობლის სახეს გადაწე, მაგ ნაღვლიანი თვალეობით. თქვენს გმირობაზე გვითხრობენ დღეს ქაშუეთის ზარები ... როგორ უწევდით მეგრძობებს ღობას, დედობას, შვილობას, და თავდადებით უხვევდით დაჭრილ სამშობლოს ტრილოზას!“

...ჭაბუკ გიორგი ომსარაშვილის ხმა ახალი საუკუნის დამდეგს, 2001 წელს გაისმა მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარკეებშიან დარბაზში! მამინ იგი 10 წლის იყო - ახალგაზრდობის თავდადებულმა მსახურმა ფაცია პაიჭაძემ მართლმად-

ცაშვილის დაბადებიდან 100 წლის თავს მიუძღვნა ის ულამაზესი საღამო, რომელსაც ცნობილი ისტორიკოსები და მწერლებიც ესწრებოდნენ.

„წიგნი, რომლის მადლით მართლმადიდებელი ცოცხალივით გავიყანი, დედოფლის გვირგვინით ფრთხილად მიჭირავს ხელში, ვუფრთხილდები, არ დაზიანდეს; ეს წიგნი ხომ აუცილებლად უნდა წავაკითხო ჩემს მონაგარს. მინდა იცოდნენ, როგორი გულანთებული ქართველებით იყო დასახლებული საქართველო!“

ეს გულმართალი სიტყვები, დიხხც გულმართალ მწერალს, ქალბატონ დოდო ხიშიაშვილს ეკუთვნის.

...„ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ!“ ეს კომპანია „მაგთის“ ალალ დევიზია!.. პირნათლად ამართლებენ სიტყვას! მათი მხარდაჭერა რომ არა, ვერ ვიხილავდით ქართველ მწერალთა და მხატვართა შესანიშნავ კრებულებს და ალბომებს - არ მივივინ, ამჯერად რაინდი ქალწულის მართლმადიდებლის დღიურის გამოცემაც რომ უთავებიათ (2014). მით უფრო, რომ ეს დღიუ-

მაგრამ განუხორციელებელი იდეის გამო მართლმადიდებლის გამოცემასთან დაკავშირებით, ქალბატონი ნუგეშა მაცაშვილი წერს: „სამწუხაროდ ეს წამოწყება მაშინ არ განხორციელებულა, ამჟამად პოეტმა და ურნალისტმა ნანა ღვინევაძემ, რომელმაც არაერთი წერილი უძღვნა მართლმადიდებლის გამოცემას, ამოიღო ახალი წიგნი მართლმადიდებელი“ (ურნალ „მნათობის“ ბიბლიოთეკა, 1997 წელი, გვ. 71, რედაქტორი არჩილ სულაკაური!).

სხვათა შორის, 1990 წლის თებერვალში, გაზეთში ჩემი ული „შარავანდედი“ გამოქვეყნებისთანავე მეწვია რადიოურნალისტი რუსუდან სულაკაური, რომელიც გამსაუბრა მართლმადიდებლისადმი მიძღვნილ ჩემს პირველ პუბლიკაციაზე. არა მგონია, რომ მისი მიწოდებული იყოს ეს მცდარი ინფორმაცია, თითქოს მართლმადიდებლის პირველი გამოცემა მწერალ არჩილ სულაკაურს ეკუთვნოდეს. ავი არსებობს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბიბლიოგრაფიული განყოფილება! არავის, არავის მოფიქრებია ესარგებლა იქაური თანამშრომლების გულის-

ხმინებით და ყურადღებით? ანდა სულნათელმა იმა ორჯონიკიძემაც ხომ ჩემს კვალდაკვალ მოვიდა ხელი იგივე დღიურს - მისი შექმნაც მახსენდება: შენ ეს ძალიან კარგი საქმე გააკეთეო და ამიტომაც ნაწევრები შეუტანია, არ დაუკარგავს ჩემი სახელი!

ეს კობხტად შეკონილი წიგნაკი მან ცნობილი კინოლოგუმენტალისტის გია ჭუბაზიას, ჩემი წიგნით შთაგონებული ფილმის პრემიერაზე მომავება - ამ სულისშემძვრელი ფილმის საბოლოო ტიტრებში ჩემდამი განსაკუთრებული მადლობა რომა გამოკვეთილი!

ნანსულოში მოგზაურობამ, ოჯახის წევრთა მესხინებაში გაღვიძებულმა მწარე მოგონებებმა იმდენად დაგვაახლოვა, რომ ერთხელაც, როდესაც ბატონი შალვას მოგონებებს ვიწერდი, გულში ჩამარხული ეპიზოდების მოყოლისას იხუმრა კიდევ, ახლა რომ დამიჭირინო?! ქალბატონი ნუგეშა ცოტახნით გავიდა და დაბრუნებულს ხელის გულზე გულანთებულმა ელო პატარა გადაშლილი წიგნაკი - თურმე მართლმადიდებელი, რომელიც მან პირველს მე მანდო და რაც ფრიალდამეხმარა, აღმედგინა მათი გმირულად დაღუპული დის იერსახე, ანუ მართლმადიდებლის ხატი სხვადასხვა შექმნილი!

საოჯახო არქივში სათუთად შენახული სხვა მასალებიც მომარქოდეს.

ვაგრძელებ ლეგენდას სუსხიანი თებერვლის ფონზე და ახლაც ვეღვავ; 1990 წლიდან მოყოლებული, არა მარტო „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე, არამედ სხვა გამოცემათა თხონითაც გამოიქვეყნა ეს თემა, რაც წლის საუკეთესო ნაღვანადაც სცნო საქართველოს ურნალისტთა ეროვნულმა კავშირმა. მერე კი სახელმწიფო პრემიაზე იყო წარდგენილი, რასაც არაერთი გამომხატურება მოჰყვა. ერთ-ერთ გულმხურვალე გამომხატურებას გვერდს ვერ ავეულო, - სულგანათლებულმა დევი სტურუამ, ცნობილი პუბლიცისტმა, გიორგი ლეონიძის ლექსის შუკარით რომ დაასათაურა მშვენიერი ესე „შენ - სილამაზის ნაზო გრიგალო!“, ამით მან ნინო ჭავჭავაძის მშვენიერებასა და გონიერებას მართლმადიდებლის მშვენიერება და გამამდობა შეუქონა. მეც ხომ „ტამახმელოს რეკვიემის“ ავტორის აღრინდელი, მისი ქალიშვილის მიერ მოწოდებული დაუმეტდავი ლექსებიდან, ეს ორპუკარედი გუმანით მართლმადიდებელი დატირებულად აღვიქვი: „გვირგვინს დაგვიწნავს შენ - მომავალი!“ ...ისევ დევი სტურუს ესე დაუმბრუნდეთ:



„რინა – 2015“

მეოთხედი საუკუნის წინანდელი დღე გამახსენდა – ჩემი მეგობარი, იმჟამად სოხუმის უნივერსიტეტის ახალ-გაზრდა ლექტორი, მირეკავს – სხვისთვის შეიძლება, უბრალო რამ იყოს, მაგრამ ჟურნალ „რინას“ დახურვა ემუქრება, თითქოს ყველამ ერთბაშად პირი შეკრა და ხელმომწერი კი არა, მკითხველიც საკმაოდ შემოაკლდაო. აზრებზე აღფრთხილებს ხელი ურევია და მთავრობაშიც არ ეხატებათ გულზე ქართული ჟურნალიო. იმხანად ქარხანაში ვმუშაობდი, ახალგაზრდა ინჟინერი, პარალელურად ციკუნა ქარხნის ორმოცდაათკაციან კომპავე-შირულ ორგანიზაციასაც ვხელმძღვანელობდი. ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟი იყო და არც კომპავეშირისთვის ეცალა ვინმეს, ის კი არა და მაშინდელი ლენინის რაიონის კომპავეშირის რაიკომის პირველი მდივანი ნინო კაპანაძე ბევრისაგან გასაოცრად ნამდვილ ეროვნულ საქმეს აკეთებდა და მიზნად ისტორიული ძეგლების აღდგენა-რესტავრაციები ჰქონდა დასახული. სწორედ მისი წყალობით ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები სამ-ლერეთში ნახევრად დანგრეულ და მიწასთან თითქმის გახსრობულ საბეროს ეკლესიას. თვებით ვიყავით კარვებს შეფარებული ახალგაზრდები და მართლაც დიდი


პირადად – მე? იმერელი „აფხაზეთის იმერეთიდან“, ქუთაისელი თანაც.“

„გმადლობთ ბატონო რეზო. კი არ გბაძავთ, მადლობას გინდით, რომ შემახსენეთ – აფხაზი ვარ!“ – ეს კი ზაურ კალანდია, რომელიც ბატონი რეზოს წერილსაც და გულსტიკვილსაც ესმინება, ბატონი თარიას აღსარებით გამონვეულს.

ახლა ჩვენს მეგობარს, გულდაუთულ აფხაზ დისიდენტს ბატონ ალექსი თარიას მივუბრუნდები. მისი ჩანახატი, პუბლიცისტიკა, მონათხრობი, ფილოსოფიურ-პოლიტიკური ესსე, თუ რაც გინდათ ის დაარქვით, თხემით-ტერფამდე აფხაზის ნაფიქრალია. მას სტკივა აფხაზი და აფხაზეთი მტრის ხელში ჩაგდება და მის ფრთას მოწყვეტილი მედროვეთა მიერ. მას სტკივა საკუთარი მიწა, ეძებს გზებს ჩატყნის კი არა, უკვე წყალს გატანებულ ხიდის აღსადგენად, ეძებს აფხაზებში, ეძებს ქართველებში, ეძებს საკუთარ თავში, სტუმრად ქცეულა მშობლიურ გულდაუთაში, სადაც სამშობლოდან გადახვეწილი თოთხმეტი წლის წინათ დაბრუნებულა. უცხო ქალაქი დახვდა, უცხო ხალხი, უცხო მიწა... ჯოჯოხეთსა ჰგავს იქ გატარებული თოთხმეტი წელი 2000 წლიდან მოყოლებული. სიმართლეს თვალში უყურებს ბატონი ალექსი, მწარე სიმართლეს და ვერ ცნობს თავის სამშობლოს.

მეც აფხაზი ვარ! აფხაზი დისიდენტის „გაღის სიმღერა“

საქმე კეთდებოდა ოთხმოციანი წლების მიწურულს. სწორედ ნინოს მივაკითხე და „რინის“ შესახებ ჩამოვუგდე სიტყვა. ახლაც მახსოვს, როგორ ჩაეღიმა, მოვაგვარებ მაგ საქმესო და... მარტო ლენინის რაიონში სამხსზე მეტი ხელმომწერი გამოუჩნდა აფხაზეთში გამოძვალ ერთადერთ ქართულენოვან ლიტერატურულ ჟურნალს. მთელი წლის მანძილზე პატიოსნად მოგვდიოდა ჟურნალის ახალი ნომრები. შემდეგ ქვეყანა ისე აირია, რომ ჟურნალი კი არა, თითქმის ნახევარი საქართველო დაკარგეთ. ვერც ეროვნულმა ხელისუფლებამ უშველა „რინას“ და არც შემდგომმა მთავრობებმა გაატოკეს ხელი, რომ აფხაზეთიდან დევნილი ქართველ მწერლებს თავიანთი ჟურნალი ჰქონოდათ.



2015

რამდენიმე დღის წინათ ჩემმა მეგობარმა, შესანიშნავმა მწერალმა ზაურ კალანდიამ წლევანდელი „რინის“ პირველი ნომერი მოგვითხრობდა რედაქციაში და ჩვეული მორიდებით გვითხრა – იქნებ გადახედოთო. თან გვიჩინა, საინტერესო პუბლიცისტიკა აფხაზი დისიდენტების ალექსი თარიასი, იქვე კი ბატონი რეზო ჭეიშვილისა და ჩემი გამოხმაურებაცააო.

გვითხრობს აფხაზი კაცის, სულით ხორცამდე თავის კუთხეზე შეყვარებული ადამიანის მართლაც „გედის სიმღერას“, რომელსაც ამდგარივე სათაური აქვს „გედის სიმღერა“, ანუ სამუდამო დევნილის მოგონებები და ფიქრები“, თვალს არ ვუჯერებ და მამა-პაპისგან ტვინში ჩაბეჭდილ შეგონებას ჩვენსა და აფხაზების ძმობაზე, თითქმის მინავლებულსა და მივიწყებულს ათასჯერ ვასიგრძელებ. მართლაც რა დავაშავეთ? რითი ვერ გავიტანეთ მრავალსაუკუნოვანი ძმობა ამ ორმა პატარა ერმა? სად დავუშვით შეცდომა?

აღბათ, ჩემსავით აცრემლა ჩვენი კლასიკოსი რეზო ჭეიშვილი აფხაზი კაცის შეგონება-ფილოსოფიამ, რომ მთელი ხმით ააყვირა – მე აფხაზი ვარო! წლების წინანდელ მოგონებებში გადაიყვანა, საუკუნეების დროინდელ ისტორიას გადაახედა, მორდუბა-ძიძიშვილობის დაუნერული კანონები გაიხსენა, დაწყებული ბაგრატი დიდამ სულმანთ აკაკიმდე მისხალ-მისხალ ანონა ჩვენი ძმობა და კიდევ ერთხელ მთელი ხმით, მსოფლიოს გასაგონად დაიბუხუნა – „მე აფხაზი ვარ!!!“

„...და საქართველო იყო აფხაზეთი, საკუთრივ აფხაზეთი და აფხაზეთი, დედაქალაქი – ქუთაისი, სადაც ახლა, ამჟამად თქვენ იმყოფებით, ეს არის ქუთაისი, ქუთაისი, კუტაია, აია და ასე შემდეგ. ჩვენ გვერქვა აფხაზები. ქართველ მეფეთ ეწოდათ აფხაზთა და ქართველთა მეფეები და ჩვენ ვიყავით აფხაზები, აფხაზები იყვნენ ქართველები, ანდა პირიქით... თუმცა, ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო...“ – უხსნის კლასიკოსი ინგლისიდან სტუმრინად ჩამოსულ „ბი-ბი-სის“ წარმომადგენელს ვინმე ჩარლის, რომელიც ქართველთაგან აფხაზების ჩაგვრის თემატიკის გასაშუქებლად და თურმე ჩამოსული. ჩარლი, ვილაც რიგითი ობიგატელი, ბოლმისა და მტრობის ცეცხლის გამჩალებელი ამ ახსნა-განმარტების შემდეგ პირდაპელ უყურებს ბატონ რეზოს და რეზო ბატონი ჩვეული სიდინჯით აგრძელებს, უფრო სწორად ჩვენ, მკითხველებს გვიხსნის – „...გვარიანად დავაბნეე მალა-ლი ჩარლი, დედამინის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და ავტორიტეტული საინფორმაციო სააგენტოს წარმომადგენელი. პატარა საქმა ეცე და ვაბნეე. უარესად დავიბენი მე. მას შემდეგ დაბნეული ვარ. და მაინც, ვინ ვართ ჩვენ?

მივლინებაშია, საყვარელმა დაიყოლია დაეხმოსა შეილები და გაქცეულიყო მასთან ერთად სადღაც, სადაც მშვიდად და ბედნიერად იცხოვრობდნენ, რასაც ქალი დათანხმდა. შედეგად, გაირკვა, რომ მოტყუებული ქალის იმედები სანახევროდაც არ გამართლდა, საყვარელი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი, როგორაც მას წარმოედგინა – და ყოველივე ამის შემდეგ, შეძლებს კი ის დაუბრუნდეს ქმარს, მის მიერ მოკლული შვილების მამას?“

ანდაც... „უაზრო მიამიტობამდე მისულ აფხაზ ხალხს, რომელსაც არც ძველ და არც ახალი საუკუნეში არ ჰყავს არც ერთი ინტელექტუალური ან რამდენადმე უნივერსალური განათლების ადამიანი, ურყევადა სჯერა, რომ რუსეთი დაეხმარა აფხაზებს ერთადერთი მიზნით – ეხსნა ისინი საქართველოსგან მომდინარე გენოციდის საფრთხისგან. საღი გონებით და მყარი ისტორიული მემკვიდრეობით განა ამის დაჯერება შეიძლება? ჩემს ბედკრულ ხალხს კი სჯერა! სჯერა იმ ფაქტის მიუხედავად, რომ აფხაზები, როგორც მონოკულტურული ეთნოსი, გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ 1991 წლამდე საქართველოს იურისდიქციაში იმყოფებოდა; სხვაგვარად ისინი დიდი ხნის წინათ გამქრალი დასავლელი მეზობლების უბიხები-სა და შაპსულების (აღიღელები სუბეთნოსი) ხვედრს გაიზარებდნენ.“

მხოლოდ ორი ამონარიდით შემოვიფარგლე მკითხველო, რათა წარმოდგენა შეგქმნოდათ დისიდენტი აფხაზის ალექსი თარიას მსოფლმხედველობაზე. ვერ ერთი იმიტომ, რომ თავად უნდა ნაიკითხოთ და წარმოსახვით გადასახლდეთ აფხაზეთის დღევანდელი სახე, რომელიც გულანთებულმა პატრიოტმა კაცმა დაწერა, მეორეც იმიტომ, რომ კოლეგიალობის წესი არ მაძლევს უფლებას, მთლიანად მოგიტხროთ ის, რაც თქვენ თავად შეგიძლიათ ნაიკითხოთ ფენიქსივით აღმდგარ „რინის“ წლევანდელი პირველი ნომრის ფურცლებზე.

დიდი მადლობა ბატონო ზაურ, რომ მოიძიეთ, გაითავისეთ და ქართველ მკითხველს საშუალება მიეცით გასცნობოდა, თუ როგორ ცხოვრობენ, რას ფიქრობენ ჩვენი ძმები, თავიანთ სამშობლოზე მართლაც უზოთხობთ და წარვარებული, ჭეშმარიტი აფხაზები, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენელიც ალექსი თარიას, რომელსაც მართლაც ძალუმს „მოყვარეს პირში უძრახეს“ შეგონებით გამოაფხიზლოს თავისი ერი, რომელიც, მისი თქმის არ იყო, ფიზიკური გაქრობის წინაშე დგას.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდენტი, ასევე კულტურის ფონდის თანამშრომლები ვულოცავენ ბატონ ლევან კამკამიძეს, ჩვენი პრეზიდენტის წევრს, 80 წლის იუბილეს. უსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, კეთილდღეობას და სულიერ სიმშვიდეს. ბატონი ლევანი დღემდე ერთგულად ემსახურება ქართული კულტურის განვითარების საქმეს.

მერაზ ბარქანიშვილი

კაპალ გულში

ნეხცილოვანი თქაზები

9 წლის მერე უკრაინამ ომი რომ გამოვიცხადოს, ხომ ვიქნებით ღირსი? ქალბატონ თამუნა ბერუაშვილს ვინ უთხრა, რომ „ქართველი ხალხის არჩევანი და ურყევი ნება“ – NATO-ა?! უბრალოდ, სანყენია, როდესაც „ქართველ ხალხად“ არ გთვლიან!



- ეკონომიკური პროგნოზი: - მალე იონჯა მოვა.
- იაცენიუკი გაზით გაიგუდა.
- რაღა ლარი და რაღა ტკაჩენკო, ორივე ორიდაროციაო.
- უკრაინაში კოჭოიანენო დაუჭერიათ საელჩოსთან.
- სულ პუანტივით უნდა ცემო ეს „უბედული“ გრიგოლ ანანიაშვილი (გაშაძისა): - „რით არის დაკავებული ყრუ პროვინციალების გაერთიანება, თავის თავს „ხელი-სუფლებას“ რომ ეძახის? ვენდებთ: უკრაინისგან პრეზიდენტ სააკაშვილის გადმოციმება ითხოვენ, მიუხედავად იმისა, რომ კიევმა ისინი უკვე სამჯერ გააგზავნა სამ ასოსკენ გრძელ სექსუალურ მოგზაურობაში. ამისთანა იმპეცილიერტი განახავთ?“
- აი, ის ხალხი, მიზამ რო გადააგდო კბილებზე და თლიფინით რო წერენ ახლაც – მიცა გვენატლები, ცამოდი.
- დიდი ადამიანები (ამ შემთხვევაში, მხედართმთავარი), უბრალო მოკვდავს აზრადაც რომ არ მოუვა, ისეთი მარტივი, მაგრამ მოულოდნელი საშუალებებით წვეტიენ ისტორიული მოვლენების ბედას.
- 2008-ში, „სარკო, სარკო“-ს ძახილში რომ არ გვევარჯიშა, რუსეთს ომს ვერ მოვუგებდით!
- სოსანაშვილის ფრაზა, როდესაც დაინახა როგორ „უდებდნენ“ დნმ-ს: „OMG, DNM? WTF!“
- დოლარმა თავისუფლად შეიძლება გამოიწვიოს ამ მთავრობის ზეარაკად შეწირვა... ეს არის, ალბათ, მთავარი მიზანი.

ასეა პატივცემულებო? რა ქირს ამ „რუსთავი-2“-ს? 35 წთ. მიდის „კურიერი“ და ჯერ არც ერთი მკვლელობა, არც ერთი დაბატონირება კი არა და ჩვეულებრივი ყაჩაღობაც არ უჩვენებიათ. მარტო მიაა ფანჯიკიე და ბაქრაძე ბოდილობენ რაღაცას. სო მშვიდობა ხალხსო? ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი ნაციონალური ატავიზმივით რომ არის შეპყრობილი, გამოცვლას არ ექვემდებარება? სოსანაშვილის ბრალდება სრულად გაქარწყლდა – მას საერთოდ არ აღმოაჩნდა დნმ. ძვირფასო თავისუფალი დემოკრატიუმი – დიდი პატივისცემისდა მიუხედავად, ერთი რამ ცხადზე ცხადია, რამდენიც არ უნდა ვთქვათ, რომ ოცნებაში ნაციონალური დაპორტირდნენ, აქ მაინც იმასთან გვაქვს საქმე, რომ ის ნაციონალიზმი გადავიდნენ ოცნების ველზე და მათ საქმეს აკეთებენ! აი, თქვენ რატომ ხართ უნისონში ნაციონალებთან და რატომ ამბავებენ ისინი თავიანთ არგუმენტებს უკვე თქვენი მოშველიებითაც, სატკივარი აი, ეს არის!

ამოკრიბა ბიბა ბაბურიძე

მს კარგია!

ქუთაისის ბაბა-ბალებში კვება სამჯერადი გახდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ქუთაისის მერიიდან აცნობეს, ქუთაისის მერი შოთა მურდულოვა, ააიბ ბაბა-ბალებს ხელმძღვანელთან ერთად რამდენიმე ბაღში მივიდა და საუზმის მომზადების პროცესს დაესწრო. ქალაქის მერის გადაწყვეტილებით, 2015 წლიდან ბაღებში კვება სამჯერადი გახდა, სადილს და სამხარს საუზმე დაემატა. ბაბა-ბალებში წელს მეორე ცვლის შედგოგებიც მიიღეს.



მს კვირისი შინაური სხოველები

თბილისის ერთი გადავლებით, კურიოზული კრიმინალური ამბავი მოხდა ცოტა ხნის წინათ მოსკოვში: ერთ-ერთი შეძლებული ბიზნესმენის ბინის გატყვისას მძარცველებმა გავრცელებული და... დონის სფინქსის ჯიშის კატა მოიპარეს, ქურქებს, ძვირფას ტექნიკასა და ჭურჭელს კი ყურადღება არ მიაქციეს.

მოსკოვის სისხლის სამართლის სამსახურის პრესსამსახურის წარმომადგენლის თქმით, შინაური ცხოველთა (ეს, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ინდივიდებს ეხება) ქურდობა სისხლის სამართლის დანაშაულთა საკმაოდ გავრცელებული და ერთობ შემოსავლიანი სახეობა ყოფილა. მძარცველები ხშირად „დაკვეთით“ მუშაობენ და ეს პრაქტიკა, ფაქტობრივად, მთელ მოსოვლიაში გავრცელებულია. ამიტომაცაა, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში ძვირფას შინაური ცხოველებს ხშირად აზღვევენ.

ცნობისთვის: მოსოვლიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ძაღლებისა და კატების ჯიშებია: ძაღლებიდან – ინგლისის დედოფლის ელისაბედ II უსაყვარლესი პემბროკ-ველშ-კორგი; ჩინელ არისტოკრატთა რჩეული ტიბეტური მასტიფი; მონადირე სალუკი (ძაღლი-შველი); კატებიდან – უბალნო პეტერბოლდი; ბენგალური კატისა და აფრიკული სერვალის ნაჯვარი სავანა და ირლანდიის ზღვაში კუნძულ მენზე გამოყვანილი უკუდო მენქსი.

„შიპრი“, ანუ... კვირისი

საბჭოთა ეპოქის პარფუმერიის სიმბოლო, უდავოდ, ოდეკოლონი „შიპრი“ იყო. ცოტა ვინმე თუ იცოდა მაშინაც, რომ ის... საფრანგეთში, პარფუმერია ფრანსუა კოტის მიერ იყო შექმნილი.




ნამდვილად სახალისოა ოდეკოლონის დასახელებების ამბავი: საქმე ის არის, რომ სახელწოდება „შიპრი“ სხვა არაფერია თუ არა... კუნძულ კვიპროსის დამახინჯებული სახელი (Chypre). თავდაპირველად ეს პარფუმი ქალბატონებისთვის იყო განკუთვნილი, შემდეგ კი „სქესი შეიცვალა“. საბჭოთა კავშირში მას ფაბრიკა „ახალი ზარია“ უშვებდა, თუმცა კი შეცვლილი შემადგენლობით, რის გამოც მისი არომატი მკვეთრად გაუარესდა. ოდეკოლონი „შიპრი“ დიდად უყვარდათ არა მარტო მოდას აყოლილ ქაბუკებს, თუმცა კი იგი მაინც დამაინც პრესტიჟულად არასდროს არ ითვლებოდა,

თავდაპირველად ეს პარფუმი ქალბატონებისთვის იყო განკუთვნილი, შემდეგ კი „სქესი შეიცვალა“. საბჭოთა კავშირში მას ფაბრიკა „ახალი ზარია“ უშვებდა, თუმცა კი შეცვლილი შემადგენლობით, რის გამოც მისი არომატი მკვეთრად გაუარესდა. ოდეკოლონი „შიპრი“ დიდად უყვარდათ არა მარტო მოდას აყოლილ ქაბუკებს, თუმცა კი იგი მაინც დამაინც პრესტიჟულად არასდროს არ ითვლებოდა,

არამედ... პროფესიულ ალკოჰოლიკებსაც – სპირტის შემცველდობა მასში 70 პროცენტს აღწევდა! სხვათა შორის, ალსანიშნავია ისიც, რომ ფრანსუა კოტის მიერ შექმნილი „შიპრის“ საფუძველი მოგვიანებით არაერთი საკულტო სუნამოს შემადგენლობაში შევიდა, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია „შანელი № 5“. სხვათა შორის, რუსეთში „შიპრი“ დღესდღეობითაც იყიდება: ინტერნეტ-მაღაზიები მას ნამდვილად სასაცილო ფასად, 200 რუბლად ყიდიან.

მე გამოვესი ბრძანება... დაწინა ტრიბუნალი!

რუსეთის იმპერიაში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, ლევ ტროცკი, რომელიც საბჭოთა რუსეთის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი გახდა, წითელი ტერორის არა მარტო თეორეტიკოსი, არამედ უპირველესი შემსრულებელი, ასე ვთქვათ, „საკუთარი იდეების ცხოვრებაში გამტარებელი“ იყო. მისი ერთ-ერთი იდეა შემკავებელი რაზმების შექმნა იყო, რომელთა მოვალეობა ბრძანების გარეშე უკან დამხვე წითელარმიელთა დახვედრა იყო.



„მე გამოვეცი ბრძანება, რომელიც ყველა საჯარისო შენაერთში წაიკითხეს. გაფრთხილებთ: თუკი რომელიმე სამხედრო ნაწილი თვითნებურად უკან დაიხვეს, პირველი მისი კომისარი დაიხვერტება, მეორე – მეთაური. სამეთაურო ადგილებზე გახედული, ყოჩაღი ჯარისკაცები დაინიშნებიან, ლაჩრებს და მოლაღატებს კი ტყვეთა არ ასცდებთ. ამის პირობას მე წითელი არმიის წინაშე ვდებ“, – წერდა ტროცკი, რომელიც წითელ არმიის შემოღებულ ამ პრაქტიკას შემდგომ ძალიან ჩვეულებრივად აღწერდა: „გემი ნავმისადგომთან მივიდა, დეზერტირები გადმოსხეს, მე ტრიბუნალი დავინიშნე, რომელმაც დახვედრა მიუსაჯა კომისარს, მეთაურსა და ჯარისკაცთა გარკვეულ ოდენობას. დაჩირქებულ ჭრილობაზე გავარგარებული შანთის მიღებაა საჭირო“.

სხვათა შორის, „ბავშვების მოყვარული“ ლენინი მხარს უჭერდა ტროცკის სისასტიკეს და შემდეგი შინაარსის საბუთიც კი გასცა მასზე:

„სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, მოსკოვი, კრემლი... ივლისი, 1919 წელი.

ამხანაგებო! ვიცი რა ახსტროცკის განკარგულებათა მკაცრი სახითა, მე იმდენად დარწმუნებული, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ მის მიერ გაცემულ განკარგულებათა სისწორეში, მიზანშეწონილობასა და აუცილებლობაში, რომ მათ სასებით მხარს ვუჭერ.

3. ულიანოვ-ლენინი“.

აი, ასეთი იყო ლევ ტროცკი, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებისა და საბჭოთა რუსეთის პირველი წლების ერთ-ერთი ყველაზე პირსისხლიანი მოქმედი პირი, რომელიც შემდგომ ქვეყნიდან გააძევეს, წლების მერე კი მექსიკაში თავში ყინულის საჭრელი ძალაყინის ჩარტყვით მოკლეს.



ყავის მოყვარულთა იქნებ არ იხიან...

ნატურალური ყავის მოყვარულთა შესაძლოა, არ იცოდნენ, რომ მის მარცვლებში ორგანიზმისთვის მეტად საჭირო კალციუმი, კალიუმი, რკინა და მაგნიუმი საკმაოდ დაბალია. ყავა ასევე 30 ორგანულ მჟავასაც შეიცავს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმისთვის აუცილებელია. ნატურალურ ყავაში ასევე ბევრი ანტიოქსიდანტი, რომელიც ორგანიზმს ადრეული დაბერებისგან იცავს, ყავის მიმზიდველი არომატი კი სიმწვინე გვამტებს, გუნებას გვიკეთებს, დეპრესიას გვაძლევინებს.

ყავა აუმჯობესებს ღვიძლის მუშაობას და ორგანიზმისთვის საუცხოო სტიმულატორია. ყავის დახმარებით შესაძლებელია გახდეთ, ვინაიდან ის ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს. კოფეინი სისხლძარღვებს აფართოებს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ხსნის თავის ტკივილს. გარდა ამისა, იგი ამცირებს ზოგიერთი დაავადების შეყრის საფრთხეს, მათ შორისაა დიაბეტი, ღვიძლის ციროზი, გულის რიტმის დარღვევა, მკერდისა და პროსტატის კიბო, ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადებები, ასევე კბილების კარიესიც კი! კოფეინი აძლიერებს ზოგიერთი გამაყუჩებელი ნაწილის მოქმედებასაც.

ამასთან, აუცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაფერი მთლად ისე მაინც არ არის, როგორც ეს ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება გვეფიქრა. თუკი ყავის სმაში გარკვეულ შეზღუდვებს თავადვე არ დავინესებთ, ამან შესაძლოა, გულის სისხლძარღვთა სისტემაზე სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს. ჰიპერტონიის, ათეროსკლეროზის, კუჭის წყლულისა და გასტრიტის დროს, უმჯობესია, ყავაზე საერთოდ თქვათ უარი. მეტიც: კოფეინის ჭარბად მიღების შედეგად, ჯანმრთელი ადამიანიც გაღიზიანებას, ნევროზულობას, გულისცემის აჩქარებას იგრძნობს, თანაც ყავის ზედმეტად მოხმარებამ დამოკიდებულების ჩამოყალიბება იცის. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია დიდი ფრანგი მწერალი ონორე დე ბალზაკი, რომელიც დღემდე 40 ფინჯან ყავას სვამდა! საქმე ის არის, რომ შეჩვევის დროს, კოფეინის გამამხმნეველი მოქმედება სუსტდება, ამიტომ საჭირო ხდება ყავის დოზის გაზრდა, რის შედეგად ყავოს ნები ადვილად იღლებიან და ნევროზები ემართებათ.

არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ ყავა ორგანიზმს კალციუმის ათვისებაში უშლის ხელს, რაც ძვლებს სიმბავის აკარგვინებს. ამდენად, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად შეგიძლიათ დღეში მხოლოდ სამი ფინჯანი ყავა მიირთვათ. ფეხმძიმე და ძუძუს კვებაზე მყოფი ჩვილების ქალებისთვის კი ყავის სმა საერთოდ არ შეიძლება – კოფეინი პლაცენტასა და დედის რძეში აღწევს, რაც რკინისა და სხვა მინერალური ელემენტების შეთვისებას აქვეითებს.

რჩევა: ნატურალური ყავა ეცადეთ, შეიძინოთ ვაკუუმური ნივთიერებით, რომელიც ყავის არომატს ინახავს. იმის წინაშე წარგარკვევად კი, მოგვიწოდებთ თუ არა ყავის არომატი, ყურადღება მიაქციეს პაკეტზე მოთავსებულ საგანგებო მემბრანას: თუკი მას ნამწვავის, შმორის სუნი ერევა, მაშასადამე, ყავის მარცვლები არასწორად ინახებოდა და ცუდი მოხალუთა.

დასასრული. დასაწყისი № 32

რომორ იქცვიან ვამპირები? თავს ესხმიან ადამიანებს, სვამენ სისხლს, დაეხეტებიან ლამაზობით, ეშინიათ სარკეების, იღრინებიან და პირზე დუფორეული ხროტინებენ...

როგორ იქცვიან ცოფშეყრილები? თავს ესხმიან ხალხს, იკბინებიან, უძილობა სჭირთ, მზეს ვერ უყურებენ, სახის კუნთების კრუნჩხვები მოსდით...

დაგვეთანხმებით, მსგავსი სიმპტომები! ლეგენდარულ ვამპირი ზმსა და ცოფს შორის აშკარა კავშირს გასული საუკუნის მინურულს ესპანელმა ნევროპათოლოგმა ხუან გომეზ-ალონსომ მიაქცია. ერთხელ, ვამპირებზე ძველი ფილმის ნახვის შემდეგ იგი მიხვდა, რომ ცნობილი გრაფი დრაკულა მას ცოფის უკანასკნელ სტადიაში მყოფ საკუთარ პაციენტებს მოაგონებს!

ცოფიანი ცხოველებით დაკბენილ უბედურ ავადმყოფთაგან ყოველ მეოთხესაც ვილაცის კბენა უნდა. ამ პათოლოგიურ გრძობას ცოფის ვირუსი იწვევს, რომელიც ნერწყვით გადაიცემა – ამ გზით ის მრავლდება. ლეგენდით, ვამპირებიც ასევე სულ კბენას ცდილობენ, თანაც, არა მარტო „დასანაყრებლად“, არამედ თავისნაირთა რიცხოვნობის გასამრავლებლად.

ვინ იმალება დრაკულას ნიჯას მიღა?

საკუთარი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, სინიორ გომეზ-ალონსომ ვამპირების შესახებ დიდძალი ლიტერატურა გულდასმით შეისწავლა, რის შემდეგმე

უფრო მეტად კარგავს კაცი ადამიანის სახეს. ცოფშეყრილთა უმეტესობა ჭკუაზე იშლება და გამოუმეხულად უაღრესად ალგზნებულია. უკიდურეს შემთხვევებში, რომლებსაც „მძინვარე ცოფს“ უწოდებენ, სწორე კაცი მოძალადე ხდება და გარშემო მყოფთ თავს ესხმის. ანალოგიურად მიმდინარეობს ავადმყოფობა ცხოველებშიც: ცოფიანი ადამიანები მათ ემსგავსებიან კიდევ – კუნთებისა და კისრის სპაზმები ავადმყოფ კაცს ავი ძაღლის იერს სძენს. სწორედ აქედან მომდინარეობს კიდევ ერთი პარადიგმა ვამპირებთან – სწორედ მათ მიანერენ ცხოველებად გადაქცევის უნარს. ვამპირების საყვარელი დროა ღამე. ცოფით დაავადებულნიც დამლაშობით დაეხეტებიან, რადგან უძილობის გამო



ვამპირების საყვარელი დროა ღამე. ცოფით დაავადებულნიც დამლაშობით დაეხეტებიან, რადგან უძილობის გამო

ჯანმრთელობის კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გაწევის, აგრეთვე ამ პირობა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის (შემდგომში – კომპენსაცია) და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. კანონით გათვალისწინებული უფლებები არ წარმოიშობა, თუ პირი თანამდებობიდან დათხოვნილი იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ან სხვა არამართლობიერი ქმედების ჩადენის გამო. კანონის ნორმები ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, კანონის შესაბამისად რა წარმოადგენს კომპენსაციის ან სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს?

პასუხი: კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებია:

- დადგენილი ნამსახურობის ვადის ამონაწერა;
- 65 წლის ასაკის მიღწევა;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა;
- მარჩენალის გარდაცვალება;
- ოჯახის წევრის გარდაცვალება.

კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლებები წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსისა და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებზე.

კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლებების მქონე პირს კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დასანიშნად მიმართვა შეუძლია აღნიშნული უფლებების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს. ორი ან მეტი საფუძვლით კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლებების წარმოშობის შემთხვევაში პირს კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია ენიშნება მხოლოდ ერთი საფუძვლით, მისივე არჩევით. თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონითა და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლება, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მიღების უფლება, მისივე არჩევით. კანონით გათვალისწინებული უფლებები ვრცელდება მშვილდებზე, თანაბრად მშობლებისა, და ნაშვილებ ბავშვებზე, თანაბრად შვილებსა.

კითხვა: გავიგეთ, რომ ამ საკითხში გარკვეული სიახლეებია; იქნებ აგვისნათ, დღეს მოქმედი კანონის შესაბამისად რომელი სამუშაოები ითვლება საჯარო საქმიანობად?

პასუხი: საჯარო საქმიანობად ითვლება საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლა-ამბლუპებისა, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მიეკუთვნება საჯარო საქმიანობას, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

კანონი დეტალურად განსაზღვრავს იმ მოხელეთა/თანამდებობის პირთა წრეს, რომელთაც აქვთ კომპენ-

საციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება:

- საქართველოს პარლამენტის წევრებს;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს;
- საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს;
- გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეს;
- სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს;
- სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, სა-

კურატურის სისტემიდან დათხოვნილი პირების გარდაცვალების შემთხვევაში მარჩენალის გარდაცვალების გამო კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ აგრეთვე გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, როგორია კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მაქსიმალური ზღვარი?

პასუხი: კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 660 ლარს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრები.

მოქმედი კანონის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ ენიშნებათ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სამხედრო მოსამსახურეებს. კომპენსაცია ენიშნებათ ერთ-ერთი შემდეგი პირობით და 65 წლის და მეტი ასაკიდან დანიშვნის შემთხვევაში მისი ოდენობა შეადგენს:

- საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისათვის (გარდა ოფიცრებისა) ან უმცროსი სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – შემოსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 2 ლარზე;
 - საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის უმცროსი ოფიცრების შემადგენლობისათვის ან საშუალო სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – შემოსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 5 ლარზე;
 - კადრის სამხედრო სამსახურის უფროსი ოფიცრების შემადგენლობისათვის ან უფროსი სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – შემოსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 10 ლარზე;
 - კადრის სამხედრო სამსახურის უმაღლესი ოფიცრის შემადგენლობისათვის ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – შემოსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 15 ლარზე.
- ეს ნორმები ამჟამად აგრეთვე ვრცელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობიდან განთავისუფლებულ პირზე, თუ მას აქვს ნამსახურობის არანაკლებ 20 წელი; ნამსახურობაში, გარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ნამსახურობისა, შედის შემდეგ ორგანოებში ნამსახურობა: სამხედრო, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ორგანოები, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (2009 წლის დეკემბრამდე პერიოდი), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, პროკურატურის ორგანოები, აგრეთვე მოსამართლედ ან მის თანაშემწედ მუშაობა. ამასთანავე, 2015 წლის 1 იანვრიდან კანონის შემოღებული მოთხოვნები ასევე ვრცელდება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდების მქონე პირზე, თუ მას აქვს ნამსახურობის არანაკლებ 20 წელი; ნამსახურობაში, გარდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოში ნამსახურობისა, შედის შემდეგ ორგანოებში ნამსახურობა: პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სახელმწიფო უშიშროებისა და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები.

დღეს აქ შევწყვეტთ „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე საუბარს. დანარჩენ სიახლეებზე ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში მოგანვით ინფორმაციას და თქვენთვის საინტერესო კონკრეტულ შეკითხვებზეც გაგცემთ კანონიდან გამომდინარე პასუხებს.

ირინე ლლონტი

სიახლეები კანონში - სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ლლონტი



ქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოებიდან დათხოვნილ სახელმწიფო სპეციალური ან სამხედრო წოდების მქონე პირებს, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს. ამ პირობა მიმართ კანონი ამოქმედდა 2015 წლის 1 იანვრიდან

- სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატიდან დათხოვნილ სამხედრო წოდების მქონე პირებს;
- პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ მუშაკებს;
- საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირთა ოჯახის წევრებს;
- უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირებს;
- საქართველოს პარლამენტის აპარატის მოხელეებს;
- მეცნიერებს;
- სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეებს;
- „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის წევრების ან პრო-

განსხილვა ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „ენერგოტრანსი“ აცხადებს ტენდერს სანვავის შესყიდვაზე ქვემოთ მოცემულ სანვავის რაოდენობასა და სანვავის ტიპზე:

#	სანვავის დასახელება	რაოდენობა (ლიტრი)
	1	2
1	ბენზინი (პრემიუმი-ოქტანური რიცხვი A-95)	40000
2	ევრო დიზელი (PPM 50-ზე ნაკლები)	57400

● სანვავის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურებზე წარდგენილი სათანადო პლასტიკური ბარათების მეშვეობით და/ან ტალონების (ლიტრობრივ ერთეულში) მეშვეობით.

● სანვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ტენდერის გახსნის დღეს (2015 წლის 10 მარტი) „პრეტენდენტის“ საცალო რეალიზაციის ქსელში არსებულ ერთი ლიტრი სანვავის ფასზე შემოთავაზებული დისკაუნტის გათვალისწინებით.

● სანვავის ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა თანმდები ხარჯის გათვალისწინებით, მათ შორის: დღგ-ს, სანვავის ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების, ავტოგასამართ სადგურებზე სანვავის მიწოდების ხარჯების, პლასტიკური ბარათების და/ან სანვავის ტალონების დამზადება-მომსახურების ხარჯების გათვალისწინებით.

● ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე ფაქტურად სანვავის ჩატირებაზე ან/და სანვავის ტალონის გადაცემაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

● საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ამასთან თითოეულ ეტაპზე მოთხოვნილი იქნება საერთო მოცულობის არაუმეტეს 25%-ისა.

● პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: არანაკლებ 10 ავტოგასამართი სადგური ქ. თბილისში, ავტოგასამართი სადგურები შემდეგ რეგიონებში ან მიმდებარე ტერიტორიაზე: ქვემო ქართლში (რუსთავი, მარნეული); სამეგრელო (ზუგდიდი, სენაკი); იმერეთი (ქუთაისი, ზესტაფონი), შიდა ქართლი (გორი, ხაშური); სამცხე-ჯავახეთი (ახალციხე, ახალქალაქი).

● სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ზეპირი ვაჭრობისას („შემდგომში- ბიჯი“) – 0.03 ლარი ერთ ლიტრ სანვავზე.

● სანვავის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ ან/და საერთაშორისო სტანდარტებს (ISO) ან გოსტს ან ევროპულ ნორმებს (EN) ან აშშ სტანდარტს (API) და პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

● სანვავის მთლიანი რაოდენობის არ შესყიდვისათვის „შემსყიდველს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

აუცილებელი პირობა:
შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა (საბანკო გარანტია) სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საფასური 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „ენერგოტრანსის“ შემდეგ ანგარიშზე: სს ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი: LB-RTGE22, ა/ა № GE98LB0113117903752000 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, მიუთითონ ტენდერის № T-01 G-01/2015.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 500-ლარიანი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა 32, შპს „ენერგოტრანსი“, 1 სართული, რის შემდგომაც მათ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია განცხადების გამოქვეყნებიდან 2015 წლის 9 მარტის 18:00 საათამდე.

სატენდერო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 10 მარტს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა 32, შპს „ენერგოტრანსი“, 1 სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2015 წლის 10 მარტს 15:00 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა 32, შპს „ენერგოტრანსი“, 1 სართული.

ტენდერში მონაწილეობისათვის პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტები:

- ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ინდ. მენარმეებისათვის:
 1. ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
 2. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

3. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის:

- 1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- 2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

გ) ფიზიკური პირისათვის:

- 1. ცნობა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- 2. პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები.

შენიშვნა: პრეტენდენტს არ უნდა გააჩნდეს ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა.

ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება. შემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან დადგენილი წესის შესაბამისად დამონებული ქართული თარგმანის სახით.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ასევე დასაშვებია ინგლისურ და რუსულ ენებზე (ოღონდ იმ პირობით, თუ მას თან დაერთვება შესაბამისი განყოფილებების დადგენილი წესის შესაბამისად დამონებული ზუსტი თარგმანი ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს) დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით: **პრეტენდენტის დასახელება, შპს „ენერგოტრანსის“ სატენდერო კომისიას. ტენდერი № T-01 G-01/2015.**

სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ პრეტენდენტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში – ნიმუში;
- ბ) თუ სატენდერო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ შეძლებს ან არ მოახდენს სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დაზუსტებას, შევსებას, წარდგენას ან ხელახალ დადასტურებას;
- გ) თუ პრეტენდენტი არ დათანხმდება სატენდერო კომისიის მიერ მის სატენდერო წინადადებაში აღმოჩენილი მექანიკური შეცდომების გასწორებას;
- დ) თუ სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- ე) თუ შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;
- ვ) თუ შესყიდვის პროცედურებში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადების სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში დასაშვებია სატენდერო წინადადება დაზუსტდეს, შეიცვოს ან წარდგენილ იქნეს სატენდერო განცხადებაში მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია ან სატენდერო წინადადება მისი არსის შეუცვლელად, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სატენდერო წინადადება შეფასებაზე არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის დროს არ დაიშვება სატენდერო წინადადების ფასის გაზრდა.

პრეტენდენტს უფლება აქვს, წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება.

ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. 32, შპს „ენერგოტრანსი“, 1 სართული.

აღნიშნულ ტენდერში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის დასრულებამდე „შემსყიდველ“ ორგანიზაციაში. განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ასევე გამოქვეყნდება შემსყიდველის ვებ-გვერდზე: www.energotrans.com.ge

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა 32, შპს „ენერგოტრანსი“.

საკონტაქტო პირები: დირექტორის მოადგილე ლოჯისტიკის საკითხებში **ზაზა ცოციაშვილი** მობ: 577991999, ელ. ფოსტა: zaza.tsotsiashvili@energotrans.com.ge და შესყიდვის მენეჯერი **თეა ტორიაშვილი** ტელ: 577625485 ელ. ფოსტა: t.toriashvili@energotrans.com.ge

აღნიშნული ტენდერი ტარდება შპს „ენერგოტრანსის“ მიერ საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესყიდვის წესის შესაბამისად.

2/1

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2015 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსის პირობები



კონკურსის მიზანი

კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ეროვნული ფილმების წარმოების დაფინანსება. 2015 წლის 20 თებერვალს ცხადდება კონკურსი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების მიზნით.

უფლებამოსილი კონკურსანტი

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

საექსპერტო კომისიაში პროექტის განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელი როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

აღნიშნული პირობის დაკმაყოფილება განისაზღვრება როგორც პროდიუსერის საგანაცხადო ვალდებულება.

დაფინანსება

კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი კინოცენტრის მიერ დაფინანსდება ფილმის საერთო ბიუჯეტის 75% -მდე, საექსპერტო კომისიის რეკომენდებული თანხის შესაბამისად.

ბიუჯეტი

საკონკურსო ფონდი შეადგენს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარს. კომისია უფლებას იტოვებს, სრულად არ გახარჯოს საკონკურსო ფონდი.

დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა

ეროვნული კინოცენტრი კომისიის რეკომენდაციით დააფინანსებს მინიმუმ ოთხ პროექტს.

ქრონომეტრაჟი

ფილმის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 52 წთ-ზე მეტი.

კონკურსის ტურები

კონკურსი ტარდება ორ ტურად. პირველ ტურში საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან კონკურსზე შემოტანილ პროექტებს და აფასებენ დადგენილი ქულების სისტემის საფუძველზე.

კომისია განსაზღვრავს იმ მინიმალურ ქულათა ოდენობას, რომელიც უნდა მიიღოს პროექტმა მეორე ტურში გადასასვლელად.

მეორე ტურში გადავლენ მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ქულა აღემატება კომისიის მიერ დადგენილ მინიმალურ ბიჯს.

პროექტები, რომლებიც არ გადავიდნენ მეორე ტურში, კონკურსს ეთიშებიან.

მეორე ტური გულისხმობს პროექტის პრეზენტაციას კომისიის წევრების წინაშე.

მეორე ტურის შედეგად კომისიის წევრები აფასებენ პროექტის პრეზენტაციას და წერენ შესაბამის ქულას.

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ცალკეული პროექტის ქულათა საერთო ჯამის საფუძველზე და წარუდგენენ კინოცენტრს დასკვნას გამარჯვებული პროექტების რაოდენობისა და სუბსიდიის ოდენობის შესახებ.

ეროვნული ფილმის ცნობა

კონკურსში მონაწილეობის მსურველი პროდიუსერები ვალდებული არიან, პირველ რიგში, მოიპოვონ ეროვნული ფილმის ცნობა და მხოლოდ შემდეგ შემოიტანონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

პროდიუსერებმა ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად კინოცენტრში უნდა წარმოადგინონ:

1. განაცხადება ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად (კინოცენტრის მიერ დადგენილი ფორმით);
 2. იურიდიული პირებისათვის წესდების ასლი, ამონაწერი (სავალდებულოა განახლებული) მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
 3. ფიზიკური პირისთვის პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ან საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა (სავალდებულოა განახლებული);
 4. ინფორმაცია იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ;
 5. ფილმის ავტორთა (რეჟისორი,სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი) პირადობის მოწმობის ასლები, რომელიც ადასტურებს მათ მოქალაქეობას;
 6. ფილმის „თრიტმენტი“;
 7. ხელშეკრულებები რეჟისორთან, სცენარის ავტორთან და დიალოგების ავტორთან (ორიგინალები ან ასლები ნოტარიულად დამოწმებული), რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ განმცხადებელი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული;
 8. ფილმის ბიუჯეტი.
- განაცხადი, რომელიც არ შეიცავს ეროვნული ფილმის ცნობას მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსში არ განიხილება.
- ეროვნული ფილმის ცნობა გაიცემა, პროდიუსერის მიერ სრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

სავალდებულო საკონკურსო დოკუმენტაცია

1. ეროვნული ფილმის ცნობა;
2. აპლიკაცია (ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით*);
3. რეჟისორის წინა ნამუშევარი (სავალდებულოა);
4. პროდიუსერის წინა ნამუშევარი (თუ ასეთი არსებობს);
5. ფილმის ავტორთა (რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, კომპოზიტორი) ბიოფილმოგრაფია და კოორდინატები;
6. პროდიუსერის მოტივაცია (ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით*);
7. რეჟისორის ხედვა ;
8. ფილმის მოკლე სინოფსისი (1 გვერდამდე);
9. პროფესიონალურად და ტექნიკურად დასრულებული ფილმის სცენარი (იხ. შენიშვნა);
10. ფილმის ბიუჯეტი (ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით*);
11. ფინანსური გეგმა (დაფინანსების მოპოვების გრაფიკი*);
12. სანარმოო გეგმა (სამუშაოების შესრულების განრიგი), რომელიც მოიცავს წინა-სანარმოო, გადაღების, პოსტ-პროდუქციის ვადებსა და პრემიერის სავარაუდო თარიღს;
13. თანაპროდიუსერ(ებ)თან (თუ ასეთი უკვე არსებობს) შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ორიგინალები, ან ასლები ნოტარიულად დამტკიცებული);

ალტერნატიული დაფინანსება

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში პროდიუსერი ვალდებული არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივლისამდე წარმოადგინოს კინოცენტრში ბიუჯეტის სრულად შევსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ორიგინალები, ან ნოტარიულად დამტკიცებული ასლები). წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტის ფინანსური მხარდაჭერის გადაწყვეტილება ძალას კარგავს.

ინფორმაცია

ლევან მამალაძე შეხვედრას ითხოვს

ადვოკატი ლევან კობაიძე საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის შეწყველების თხოვნით მიმართავს.

„ჩვენ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ პროკურატურას მივმართეთ ლევან მამალაძის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა არ მოხდა ამის განხილვა. ახლა გვინდა, რომ პრეზიდენტმა აიღოს ის პასუხისმგებლობა, რომ პოლიტიკურად დევნილ ლევან მამალაძეს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცეს“, – განაცხადა კობაიძემ.

მისივე თქმით, ლევან მამალაძე „გარდების რევიოლუციის“ შემდეგ დევნილობაში იმყოფება.

როგორც ადვოკატი განმარტავს, მამალაძეს 17-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი და მას თანხის გამოძალგას და დეკლარაციაში თანხების არ ასახვას ედავება.

„მის მიმართ წაყენებული ბრალდებები აბსურდულია. რადგან მონაწილეობა, რომელთა ჩვენების საფუძველზეც მამალაძეს ბრალი აქვს წაყენებული, დღეს აცხადებენ, რომ ჩვენებები ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ფიზიკური ზეწოლის ფონზე მისცეს. ამ დადამიანმა ვერ მიაღწია სამართალს, მის საქმეში იკვეთება პოლიტიკური მოტივები და პოლიტიკური ანგარიშსწორება, ის ფაქტობრივად გააქციეს საქართველოდან“, – განაცხადა კობაიძემ.

რა ქონებას ფლობს რუსეთის პრეზიდენტი?

მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთის პრეზიდენტი ყველაზე მდიდარი ადამიანია მსოფლიოში.

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ქონება 200 მილიარდ დოლარს შეადგენს. ამის შესახებ განაცხადება ტელეკომპანია „სიენისი“ ეთერში საინვესტიციო ფონდ Hermitage Capital-ის ხელმძღვანელმა ბილ ბრაუდერმა გააკეთა. მისივე თქმით, მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, რომ რუსეთის პრეზიდენტი ყველაზე მდიდარი ადამიანია მსოფლიოში, ან ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მაინც, რომელიც იმ მილიარდობით დოლარს ფლობს, რომლებიც მან რუსეთს მოჰპარა.

„ვეფიქრობ, მისი ქონება 200 მილიარდ დოლარს მაინც შეადგენს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ის 14 წელია, რაც ხელისუფლების სათავეშია და იმას, თუ რა თანხები არ დაიხარჯა ქვეყნისთვის, სკოლებისთვის, გზებისთვის, სავადმყოფოების-



რუსი, ასევე იმას, თუ რა ანგარიშებს, აქციებს და ფონდებს ფლობს ის და მისი ასლობლები“, – განაცხადა ბრაუდერმა.

თავად ვლადიმერ პუტინმა 2014 წლის დეკემბერში შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ მან არ იცის მისი ქონების ზუსტი რაოდენობა. აპრილის მონაცემებით კი, მან 2013 წლის განმავლობაში დაახლოებით 3 673 მილიონი რუბლის გამომუშავება შეძლო, რაც 2012 წლის მონაცემებთან შედარებით დაახლოებით 2 მილიონი რუბლით ნაკლებია.

2/2

სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის 2015 წელს წარმოების დაფინანსების კონკურსის პირობები



ალტერნატიული დაფინანსება
თუ ფილმის წარმოებაზე გამოყენებული იქნება პროდიუსერის პირადი თანხა, წარმოდგენილი უნდა იყოს ამონაწერი ბანკიდან პროდიუსერის საბანკო ანგარიშზე თანხის მოძრაობის შესახებ;

ალტერნატიული დაფინანსება შესაძლებელია განიხილებოდეს ფილმის ავტორთა საპრონორარო შენატანი (ე.წ. დიფერენტი) თუ ის არ აღემატება მთლიანი ბიუჯეტის 5%.

ალტერნატიულ დაფინანსებად შეიძლება ჩაითვალოს საპროდიუსერო კომპანიის ტექნიკური შენატანი.

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში პროდიუსერი ვალდებულია არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივლისისა წარმოადგინოს კინოცენტრში ბიუჯეტის სრულად შევსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ორიგინალები, ან ნოტარიულად დამტკიცებული ასლები). წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტის ფინანსური მხარდაჭერის გადანაცვტილება ძალას კარგავს.

გამონაკლისის სახით, პროდიუსერის მიერ სათანადოდ დასაბუთებული არგუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში კინოცენტრი იტოვებს უფლებას, გაახანგძლიოს საბიუჯეტის წარმოდგენის ვადა. მსგავს გადანაცვტილებას იღებს კინოცენტრის დირექტორი.

წარმოსადგენი დოკუმენტაციის რაოდენობა
დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას 7 ეგზემპლარად და 1 ცალად ელექტრონული ვერსიის სახით; ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის ხელმოწერით.

ვადა
პროექტების შემოტანის ბოლო ვადა: 2015 წლის 27 მარტი, 17 სთ.

შეზღუდვები
ეროვნული კინოცენტრი არ მიიღებს იმ პროდიუსერთა პროექტებს, რომელთა ავტორებმა (პროდიუსერი და რეჟისორი), ვერ შეასრულეს ეროვნული კინოცენტრის წინაშე აღებული ვალდებულება (არ იგულისხმებიან ის პროდიუსერები, რომელთაც ფილმის დასრულების ვადა აქვთ გაგრძელებული). აგრეთვე კინოცენტრი არ მიიღებს იმ რეჟისორთა პროექტებს, ვისაც მოგებული აქვთ კონკურსი და ფილმის წარმოების პროცესში არიან.

არ შეიძლება ერთი და იგივე პროექტი მონაწილეობდეს კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ ერთდროულად მიმდინარე სხვადასხვა კონკურსებში.

ყურადღება!
ეროვნული კინოცენტრი კონკურსის მონაწილეებს მოგმართავთ თხოვნით, დაიცვათ ეთიკის ნორმები საექსპერტო კომისიის წევრებისა და კინოცენტრის თანამშრომლების მიმართ და პატივი სცეთ ჟიურის გადანაცვტილებას.

გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია კონსულტაციების გაცემა. კონსულტაციები ჩატარდება ეროვნულ კინოცენტრში.

მისამართზე: ზ. გამსახურდიას სახელობის №4 - ში, ტელ: +995 32 2 999 200; +995 32 2 999 102;

საკონტაქტო პირები:
ნინო კუხალაშვილი (იურიდიული ასპექტები)
ტელეფონი: +995 577 955 250
ელ. ფოსტა: n.kukhalashvili@gnfc.ge

მანანა მელაძე (წარმოება და დაფინანსება)
ტელეფონი: +995 577 40 75 39
ელ. ფოსტა: m.meladze@gnfc.ge

სალომე დანელია (წარმოება და დაფინანსება)
ტელეფონი: +995 599 85 07 81
ელ. ფოსტა: s.danelia@gnfc.ge

კონკურსის მიზანი
კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიზანია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ეროვნული ფილმების წარმოების დაფინანსება. 2015 წლის 20 თებერვალს ცხადდება კონკურსი სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოების დაფინანსების მიზნით.

უფლებამოსილი კონკურსანტი
კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

საექსპერტო კომისიაში პროექტის განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს პროდიუსერის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელი როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი.

აღნიშნული პირობის დაკმაყოფილება განისაზღვრება როგორც პროდიუსერის საგანაცხადო ვალდებულება.

დაფინანსება
კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი კინოცენტრის მიერ დაფინანსდება ფილმის საერთო ბიუჯეტის 75% - მდე, საექსპერტო კომისიის რეკომენდებული თანხის შესაბამისად.

ბიუჯეტი
საკონკურსო ფონდი შეადგენს 300 000 (სამასი ათასი) ლარს. კომისია უფლებას იტოვებს სრულად არ გახარჯოს საკონკურსო ფონდი.

დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა
ეროვნული კინოცენტრი კომისიის რეკომენდაციით დააფინანსებს მინიმუმ 5 (ხუთ) პროექტს.

ქრონომეტრაჟი
სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 52 წთ-ზე ნაკლები, მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის 52 წთ-ზე მეტი.

კონკურსის ტურები
კონკურსი ტარდება ორ ტურად. პირველ ტურში საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან კონკურსზე შემოტანილ პროექტებს და აფასებენ დადგენილი ქულების სისტემის საფუძველზე.

კომისია განსაზღვრავს იმ მინიმალურ ქულათა ოდენობას, რომელიც უნდა მიიღოს პროექტმა მეორე ტურში გადასასვლელად.

მეორე ტურში გადავლენ მხოლოდ ის პროექტები, რომელთა ქულა აღემატება კომისიის მიერ დადგენილ მინიმალურ ბიჯს.

პროექტები, რომლებიც არ გადავიდნენ მეორე ტურში, კონკურსს ეთიშებიან.

მეორე ტურის გულისხმობს პროექტის პრეზენტაციას კომისიის წევრების წინაშე.

მეორე ტურის შედეგად კომისიის წევრები აფასებენ პროექტის პრეზენტაციას და წერენ შესაბამის ქულას.

კომისია საბოლოო გადანაცვტილებას იღებს ცალკეული პროექტის ქულათა საერთო ჯამის საფუძველზე და წარუდგენს კინოცენტრს რეკომენდაციას გამარჯვებული პროექტების რაოდენობისა და სუბსიდიის ოდენობის შესახებ.

ეროვნული ფილმის ცნობა
კონკურსში მონაწილეობის მსურველი პროდიუსერები ვალდებული არიან, პირველ რიგში, მოიპოვონ ეროვნული

ლი ფილმის ცნობა და მხოლოდ შემდეგ შემოიტანონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

პროდიუსერებმა ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად კინოცენტრში უნდა წარმოადგინონ:

1. განაცხადი ეროვნული ფილმის ცნობის მისაღებად (კინოცენტრის მიერ დადგენილი ფორმით);
2. იურიდიული პირებისათვის წესდების ასლი, ამონაწერი (სავალდებულოა განახლებული) მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
3. ფიზიკური პირისთვის პირადობის მოწმობის ასლი და ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ან საგადასახადო რეესტრაციის მოწმობა (სავალდებულოა განახლებული);
4. ინფორმაცია იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ;
5. ფილმის ავტორთა (რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი) პირადობის მოწმობის ასლები, რომელიც ადასტურებს მათ მოქალაქეობას;
6. ფილმის „თრითმენტი“ (მოცემული ამბის მოკლე აღწერა);
7. ხელშეკრულებები რეჟისორთან, სცენარის ავტორთან და დიალოგების ავტორთან (ორიგინალები ან ასლები ნოტარიულად დამოწმებული), რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ განაცხადებელი არის კანონიერი მფლობელი ყველა იმ საავტორო უფლებისა, რომელიც ფილმში იქნება გამოყენებული;
8. ფილმის ბიუჯეტი.

განაცხადი, რომელიც არ შეიცავს ეროვნული ფილმის ცნობას სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსში არ განიხილება.

ეროვნული ფილმის ცნობა გაიცემა, პროდიუსერის მიერ სრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

სავალდებულო საკონკურსო დოკუმენტაცია

1. ეროვნული ფილმის ცნობა;
2. აპლიკაცია (ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით*);
3. რეჟისორის წინა ნამუშევარი (სავალდებულოა);
4. პროდიუსერის წინა ნამუშევარი (თუ ასეთი არსებობს);
5. ფილმის ავტორთა (რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, კომპოზიტორი) ბიოფილმოგრაფია და კოორდინატები;
6. პროდიუსერის მოტივაცია (ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით*);
7. რეჟისორის ხედვა და მოტივაცია ;
8. ფილმის მოკლე სინოფსისი (1 გვერდამდე);
9. ფილმის სცენარი (მოცემული ამბის დეტალური აღწერა);
10. ფილმის ბიუჯეტი (ეროვნული კინოცენტრის მიერ შემუშავებული ფორმით*);
11. ფინანსური გეგმა (დაფინანსების მოპოვების გრაფიკი*);
12. საწარმოო გეგმა (სამუშაოების შესრულების განრიგი), რომელიც მოიცავს წინა-საწარმოო, გადაღების, პოსტ პროდუქციის ვადებსა და პრემიერის სავარაუდო თარიღს;
13. სასურველია ვიზუალური მასალა (ფოტოები, ვიდეორგოლი);
13. თანაპროდიუსერ(ებ)თან (თუ ასეთი უკვე არსებობს) შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ორიგინალები, ან ასლები ნოტარიულად დამტკიცებული);

დედაშიშის ზურგზე

უკრაინის კრიზისის გამო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბრალი დასდეს უსსრ ენაბის უმოღიწრობისა და სტრატეგიულად ახარკონების უნარობის გამო



აუხიოწეა გამოგანილვა ინფოთის პაკიშირის კოსტიუმა აქიოგაქი გამოინიწია: გაყიფიისგან შემოსული ფულით განას გაასუფთავეპენ

მუში ნაცრისფერი კოსტიუმისთვის, რომელსაც აქვს ოქროს ზოლები, და რომელთაგანაც თითოეული წარმოადგენს ვერტიკალ-

ლურად ამოქარგულ ასობეს წვრილი შრიფტით, სადაც იკითხება სახელი „ნარენდრა დამოდარდას მოდი“, უკვე სთავაზობენ 200 ათას დოლარზე მეტს. სწორედ ამ კოსტიუმში შეხვდა პრემიერი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას 2015 წლის იანვარში დელიში ვიზიტის დროს.

აუთოს მითვალყურავეა დააფიქსირას სრულეპი დონესქის სენტირადან

სანამ მუში თვალყურს ადევნებს მინსკის შეთანხმებათა დაცვას, ეროკავშირ-



ში გამოთქვამენ შიშს, რომ რუსეთის ფედერაციამ მხოლოდ მოგვარევენა თავი სამშვიდობო განზრახვებით, სინამდვილეში იგი მზადაა, გააგრძელოს კონფლიქტი. პოლონეთის სეიმის სპიკერმა, ქვეყნის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა რადესლავ სიკორსკიმ არ გამორიცხა, რომ სეპარატისტები რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერით ამზადებენ შეტევას მარიუპოლზე.

პოლიულის სენტირადან გალაქაქას სავარაუდო ბოშის გამო

მისაზრებამი იკვლევდნენ საეჭვო ავტომობილს საკონცერტო კომპლექსის მახლობლად, სადაც კვირას „ოსკარის“ პრემიის ლაურეატების გამოცხადების ცერემონია გაიმართება. ბოშის შესახებ თავისი ავტომობილის საბარგულში მათ აცნობა მაკაცმა, რომელიც პოლიციამ დააკავა სახიფათო მართვის გამო.

⊙ **ჭადრაკი**



ჩემპიონებმა დიდოსტატებს მოუგეს

თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გრძელდება ფიდეს ვაჟთა მსოფლიო გრან პრის მესამე რაუნდი, რომელშიც 12 უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობს.

ოთხი ტურის შემდეგ ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: ტომაშევესკი - 3,5, იაკოვენკო, გირი, გრიშჩუკი - 2,5-2,5, მამედიაროვი, კასიმჯანოვი, დომინგესი, რაჯაბოვი - 2-2, ვაშიე-ლაგრაჟი, ანდრეიკინი, სვიდლერი-1,5-1,5, ჯობაგა-0,5 ქულა.

გრან პრის მონაწილეებმა ერთი დღე დაისვენეს. მოასპარეზებთა ერთი ნაწილი (პიოტრ სვიდლერი, ევგენი ტომაშევესკი, რუსტამ კასიმჯანოვი, ლენიერ დომინგესი, მაქსიმ ვაშიე-ლაგრაჟი, დემეტრი იაკოვენკო) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით სასპორტო კომპლექს „არენაში“ საფეხბურთო მატჩში (მსაჯი - ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი) ქართველ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონებს (კახი კახიაშვილი, დავით გობეჯიშვილი, მანუჩარ კვიციანი, ვახტანგ ზღაგაძე, გიორგი ასანიძე, რამაზ ნოზაძე) შეხვდა. ორთაბრძოლა ჩემპიონებმა 5:3 მოიგეს...

გივი ვაგუა


სურათზე: დიდოსტატებისა და ოლიმპიური ჩემპიონების შეხვედრის მომენტი.

⊙ **კალათბურთი**

„ოკლაჰომა“ გენსეკლეაი დაეპარსხა

მროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში „ოლ სტარიტ“ გამონვეული დასვენების დღეები დასრულდა და გუშინ გამთენიისას ნბა-ს ორი მატჩი გაიმართა.

„ოკლაჰომაში“ შინ „დალასს“ 104:89 მოუგო. გამორჩეული იყო „ოლ სტარის“ საუკეთესო მოთამაშე რასელ ვესტბრუკი, რომელმაც გუნდს 34 ქულა და 10 პასი შესძინა. სერჟ იბაკამ კარიერაში ყველაზე მეტი, 22 მოხსნა შეასრულა. ტეხასურ კლუბში რთულია ვინმე გამოვარჩიოთ. „ოკლაჰომაში“ ამ გამარჯვებით საფლეიოფო ზონაში შევიდა, გუნდი დასავლეთ კონფერენციაში მე-8 ადგილზე იმყოფება, ხოლო „დალასი“ ამავე კონფერენციაში მეექვსეზეა.



„კლიპერსმა“ საკუთარ დარბაზში „სან ანტონიო“ 119:115 დაამარცხა. მატჩში დეანდრე ჯორდანი 26 ქულით და 18 მოხსნით გამოირჩა. ჩემპიონებიდან საუკეთესო ტიმ დანკანი (30 ქულა, 11 მოხსნა) იყო.

ვიტალი ჯაფარიძე

⊙ **ინტერნეტიდან**

სხეულმოსახული მიკაელა



ნამდვილად ბევრი დაგიკარგავთ, თუ არ იცით ვინაა გერმანელი მოდელი მიკაელა შეფერი. ეს ის ქალია, რომელიც მთელს მსოფლიოში პოპულარული საკუთარმა სკანდალურმა და უცნაურმა იმიჯმა გახადა. კვირა ისე არ გავა, რომ ბერლინში, ბრანდენბურგის ცნობილ ჭიშკართან თამამი ფოტო არ გადაიღოს.

მიკაელა ყველაფერ სიამესთან ერთად, გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ცნობილი ქომაგიცაა და გასულ წელს თანამემამულეთა ტრიუმფით დასრულებული საფეხბურთო მუნდიალის დროს მისი ბრანდენბურგის ჭიშკართან ტიტლიკანობის თემატიკაც სწორედ ამიტომ ძირითადად საფეხბურთო იყო.

რამდენიმე დღის წინათ, მიკაელა შეფერმა თავის სკანდალურ ფოტოებში კრეატივი გამოამჟღავნა და სხეულმოსახულმა გადაიღო ფოტო. ამ ქალის სანახავად თურმე სპეციალურად დადის ხალხი ბრანდენბურგის ჭიშკართან და სხეულმოსახული ხომ საერთოდ საოცარი სანახავი იქნებოდა...

⊙ **პირსავეტიზა**


აფხაზებს „არტლაინი“ ფ3-ში „დალარას“ მებოქე იქნება

რუსთაშინის საერთაშორისო ავტოდრომის მფლობელის შოთა აფხაზავას გუნდმა „არტლაინმა“ ფორმულა 3-ის კატეგორიის ახალი სარბოლო ავტომობილი „არტლექ P315“ შეიმუშავა, რომელიც ახალი სეზონიდან, ფ3-ის ევროპის და გერმანიის ჩემპიონატებში მიიღებს მონაწილეობას.

სარბოლო ავტომობილი კარბონის კომპოზიტისგან დამზადებული მონოკოკური შასიზეა აწყობილი. მონოკოკი რუსულ კომპანია „კომპოზიტის“ მიერაა დამზადებული. ავტომობილი უკვე მზადაა ტესტირებისთვის, რომლებსაც რუსთაშინის საერთაშორისო „მოდტორ პარკზე“ გაივლის.

სავარაუდოდ, რუსთაშინის ტესტირებისას ბოლიდი ბრიტანულ კომპანია „ნილ ბრაუნ ენჯინიარინგის“ და ფრანგული „ორეკას“ (ადრე ამ ძრავებს რენოს სახელით უშვებდნენ) ძრავებით აღიჭურვება. ეს ძრავები, ფ3-ის ტექნიკური

პანია „ნილ ბრაუნ ენჯინიარინგის“ და ფრანგული „ორეკას“ (ადრე ამ ძრავებს რენოს სახელით უშვებდნენ) ძრავებით აღიჭურვება. ეს ძრავები, ფ3-ის ტექნიკური



მოთხოვნების შესაბამისადაა აგებული და მათ სერული ანალოგები არ გააჩნია. მომავალში „არტლაინი“ თავის შასისთან „მერსედესის“ და „ფოლკსვაგენის“ ძრავების ადაპტირებასაც აპირებს.

ახალი სარბოლო ავტომობილის თავისებურებად პროექტის მენეჯერი ეგორ ნაზაროვი მცირე წინააღმდეგობის მქონე ძარას და ცენტრალურად განლაგებულ გამოსაბოლქვ მილს მიიჩნევს. ტესტირების დაწყება FIA-სგან პომოლოგაციის მიღებისთანავე იგეგმება.

„არტლაინი“ იმედოვნებს, რომ ახალი ბოლიდით რეალურ კონკურენციას გაუწევს იტალიურ კომპანია „დალარას“ შასის, რომელც უკვე ორი ათეული წელია,

ფ3-ში უკონკურენტოა. „არტლაინი“ ფრანგულურტშია ბაზირებული. გუნდს ახალი სეზონისთვის ჯერ პილოტები არ დაუსახელებია.

მანუჩარ გიორგაძე

⊙ **გულახდილად**

მისიმ ალიარა: მოედანზე და მოედნის გარეთ პრობლემები მქონდა



არგენტინის ეროვნული ნაკრებისა და კატალონიის „ბარსელონას“ თავდამსხმელის ლიონელ მესისთვის 2014 წელი იმედგაცრუებებით აღსავსე გახლდათ. სამხრეთამერიკელ ფეხბურთელს მსოფლიო ჩემპიონატის მოგებაზე იმედები დააკლდა, ხოლო „ბლაუგრანასთან“ ერთად ვერცერთი ტიტული ვერ მოიგო.

გასულ წელს მესის გადასახადების დამალვის გამო სკანდალი ჰქონდა, აგრეთვე ვრცელდებოდა ცნობები, თითქოს მას და ლუის ენრიკეს კონფლიქტი ჰქონდათ. „სიმართლე ისაა, რომ ამ წელს ვცდილობ საუკეთესო ფორმაში შევიდე, ისე სწრაფად, როგორც შეუძლებელია. ვიცი, დაგებრუნდი იმ

საშინელი წელიწადიდან, რომელშიც მოედანზე და მის გარეთ ბევრი პრობლემა მქონდა. ეს იყო გამონვევა, რათა შემეცვალა ყველაფერი და წინა სეზონების მსგავსი ფეხბურთელი გამეხდარიყავი. ეს იყო ჩემი მიზანი.“ - განაცხადა მესიმ.

ესპანური გრანდი სათამაშო ფორმაში შევიდა და ზედიზედ 11 მატჩიც კი მოიგო. პრიმერადივიზიონში ლუის ენრიკეს გუნდი ლიდერ „რეალს“ ერთი ქულით ჩამორჩება, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ბარსელონას“ რთული მეტოქე „მანჩესტერ სიტის“ სახით ჰყავს.

თავად მესის ლა ლიგაში 26 ბურთი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავაში კრიშტიანუ რონალდუს ორი გოლით ჩამორჩება. ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ბომბარდირთა დავაშიც არგენტინელი მეორე ადგილზეა 8 გოლით, მას მხოლოდ „შახტარის“ ფეხბურთელი ლუის ადრიანო (9) უსწრებს.

გიორგი შოთაძე

⊙ **დანაშაული და სასჯელი**

იბრაჰიმოვიჩს უხეუობა არ უმარჩინეს


საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა „პარი სენ ჟერმენის“ თავდამსხმელ ზლატან იბრაჰიმოვიჩს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. შედეგად ფეხბურთელმა 26 იანვარს ლიგა ერთის 22-ე ტურის მატჩში „სენტ ეტიენის“ მოთამაშე რომეინ ამოუმას ფეხში განზრახ უხეშად ჩაართვა.

იბრაჰიმოვიჩს ნება დართეს 21 თებერვალს „ტულუზას“ წინააღმდეგ საფრანგეთის ჩემპიონატის 26-ე ტურში ითამაშოს, თუმცა, გამორიცხული არაა შედეგმა აღ-

ნიშნულ გადაწყვეტილებას პროტესტი გამოუცხადოს და შეხვედრაში მონაწილეობა არ მიიღოს.

პროფესიული ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილებით, ზლატანი დისკვალიფიკაციის გამო 3 და 5 მარტს ლიგა ერთსა და საფრანგეთის თასზე „მონაკოს“ წინააღმდეგ გასამართ მატჩებს გამოტოვებს.

კოზა კოზახიძე



როსტომ რაჭველიშვილი

უტილიტარული ჰოეზია

„ჩაყარე ნაგავი, იქნები შაბარი!“

ბბ, ვინ გამოიცნობს, რომელ ქართველ პოეტს მოგვარე ეს სტრიქონი?

— რადგან მოიპარეთ, ისიც გეცოდინებათ, ვის მოპარეთ, — მეტყვეობს თქვენ და მართალიც იქნებით, მაგრამ უბედურებაც ეგ არის, რომ არ ვიცი, ვის მოვპარე. არადა, ღირდა მოპარვად, ნახეთ რა ოქროს სიტყვებია: „ჩაყარე ნაგავი, იქნები შაბარი!“

ვერაფერს დაუნუნებ, ეს ვილაცა მართლაც მაგარი პოეტია.

ზოგი იქნებ შემომედავოს — ნაგავზე წერა რა პოეტის საქმეაო. მთლად ასე არ არის საქმე, მეგობრებო. იყო დრო, პატრიოტულ პოეზიას ვაღმერთებდით. ახლა როცა დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, აღარავის სჭირდება შენი პატრიოტიზმი, მით უფრო, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო დღემდე ვერ დავიბრუნეთ.

ამიტომაც, სრულიად ბუნებრივად, ჩვენში პოეზიამ უფრო უტილიტარული ხაზი აირჩია. ამის დასტურია ეს ლექსიც, რომელიც დღევანდლობის ფრიალს აქტიურად უპრობლემას ეხმაურება. მოუვლელ ქუჩებს რომ თავი დავანებოთ, პარტიკულა და მოძრაობებში იმდენი ნაგავი დაგროვდა, თუ დროულად არ გადავყარვით, ჩვენი ღვთისმშობელი მინა ნამეტანი დაგვიძიმდება.

შოდა, სრულიად მართებულად მოგვიწოდებს პოეტი: „ჩაყარე ნაგავი, იქნები შაბარი!“

ერთი კია, ქალაქის ქუჩებში ჩამწკრივებულ ნაგავს ურნებზე წარ-



წერილ ამ მოწოდებას ძახილის ნიშანი აკლია (ყოველ შემთხვევაში, ამ სუთიოდე წლის წინათ, როცა ეს ლექსი ურნებზე გაიკრა, ძახილის ნიშანი არ ჰქონდა), რაც ამჟამინდელმა თბილისის მერიამ სამომავლოდ მაინც უნდა გაითვალისწინოს. სხვათა შორის, ასეთივე აზრი გამოთქვა უცნობმა ქართველმა ჟენტილმენმა, რომელიც უკრაინაში სიგარეტის ნამწვის ჩაგდებას აპირებდა.

— არ არის სწორი, — შენიშნა მან, — რომ უცხოურ რეკლამებს მთელი ქალაქი გადაუჭრელებია, ქართული პოეზიის ასეთი მარგალიტები კი მიკარგულია.

— თანაც, პოეტის გვარი მაინც ეწეროს, — დავუმატე მე, — საზოგადოებამ ხომ უნდა იცოდეს, ვის ეკუთვნის თქვენს მიერ ნახსენები მარგალიტები?

— იქნებ სხვაგან მაინც იყოს მიწიშენებული, — დამაიმედა უცნობმა და მომდევნო ურნასთან შეჩერდა, — ამას წინათ პარიზში ვიყავი, იქ ყველა ურნაზე შეხვედებით ლექსის ავტორის ვინაობას.

— არა, არც ამაზე ავტორი, — ვთქვი შეცდუნებულმა, რაც მეორე ურნასთანაც ხელცარიელი დავრჩით. არადა, ნახეთ, რა შედეგია: „როგორ დავარქმევთ ჭკვიანებს, იმათ ვინც გვაჭუჭყიანებს.“

— არც ეს არის ნაკლები, — შემახედა თანამოსაუბრემ ურნის მეორე მხარეზე წარწერილ ლექს-მოწოდებას: „თბილისელო, ნუ ხარ მორცხვი, დაიკავე ხელში ცოცხლი!“

— რა თქმა უნდა, ავტორი მართალია, — დავუკანტურე თავი, — ყველა ხომ არ აგდებს ნაგავს ურნაში. ასეთ შემთხვევაში თბილისელები მოვალენი ვართ, ცოცხლი დავიკავოთ და ქუჩები მოვხვეთო.

...სანაგვე პოეზიამ იმდენად გაგვიტაცა, რომ მე და უცნობი ჟენტილმენი (თქვენ წარმოიდგინეთ, სახელიც კი ვერ ვკითხე) ქუჩის ბოლომდე შევრჩით ერთმანეთს. ერთგან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლაკონურმა პნკარედმა: „იქ, სადაც ბნელა, ჩაყარე ნელა!“

— აი, ხედავთ, — მითხრა უცნობმა, — პოეტს ისიც კი არ გამოჩნა, რომ ავარიების გამო ზოგჯერ თბილისში შუქი ქრება და გაგვაფრთხილა: ჩაყარეთ ნელა!..

ეჰ, — ჩავიქნე ხელი, — ამ არეულ ცხოვრებაში ბევრი კარგი ლექსი იკარგება.

— შო, ამას წინათ ერთ-ერთ წვეულებაზე მშვენიერი ლექსი წაიკითხეს. სამწუხაროდ, მხოლოდ ბოლო სტრიქონი დამამახსოვრდა: „ვაკე, ვერა და მთანმინდა სააკაშვილმა განმინდა“.

— ავსუს, უნდა მაშინვე ჩაგენერთათ, — ვუსაყვედურე გულდანყვეტილმა, — ნუთუ არც მაგას ჰყავს ავტორი?

— არა, ავტორი ვერ დამიხსახელეს.

— ხალხური იქნება, — ვანუგეშე, — ხალხი კი არაფერს ივინყებს, თუ რამე კარგი გააკეთე, იცოდეს, სამარადისო ძეგლს დაგიდგამს.

ოტია ჩართოლანი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ღვანლმოსილი თანამშრომელი, სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურის მთავარი სწავლული მდივანი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი **შოთა ნაქაიძე** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია
თაღლითოვის ფაქტა ერთი მოქალაქე დააკავეს
სამართლებლო ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურმა, შემოსავლების სამსახურთან ერთად გატარებული საგამომიებო და ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, თაღლითობის ფაქტზე ერთი მოქალაქე დააკავეს. დაკავებულმა მალსაზ გამცემლიძემ სხვადასხვა საფაქრო ობიექტებში მფლობელებს საკუთარი თავი არაერთხელ წარუდგინა, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, რის შემდეგაც, მოტყუებით, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის არ შედგენისა და დაჯარიმების თავიდან აცილების სანაცვლოდ, მენარმე სუბიექტებს სხვადასხვა ოდენობის თანხა გამოართვა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე პატიმრობას გულისხმობს.

თბილისის მერიასა და განათლების სამინისტროს შორის შემორანდუმი გაფორმდა

მერიასში შემორანდუმი ხელი მოაწერეს დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

როგორც დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ დავით ნარმანიამ განაცხადა, შემორანდუმი სკოლების ეზოების გამწვანებას ითვალისწინებს.

„თავისუფალი ტერიტორიები, რომელიც სკოლის ეზოებშია, განათლების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით ამ გაზაფხულზე გამწვანდება. დაირგვება ხეები და რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია, ამ პროცესში ჩართული იქნებიან ბავშვები, რათა მათ ისწავლონ გამწვანებასთან, ხეების მოვლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, რათა შემდგომ გამოიყენონ ცხოვრებაში და პირად პრაქტიკაში“, — აღნიშნა დავით ნარმანიამ.

თამარ სანიკიძის განცხადებით, პროექტს სამომავლოდ საგანმანათლებლო დატვირთვაც მიეცემა.

ნაქალაქის გაგეგვა 700-მდე ოჯახს შუბით დახმარა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნაქალაქის რაიონის გამგეობიდან აცნობეს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც გასათბობად შუბის ღუმელებს იყენებენ, 2 კუბ/მ შუბა დაურიგდათ.

მათივე ინფორმაციით, ნაქალაქის რაიონის გამგეობამ აღნიშნული დახმარების გამოყოფის მიზნით ტენდერი ორჯერ გამოაცხადა.

როგორც გამგეობაში განმარტავენ, ზამთრის სეზონისთვის გათვალისწინებული დახმარების პირველი ეტაპი დეკემბრის ბოლოს დასრულდა, ამჟამად მეორე ეტაპი მიმდინარეობს. შემსრულებელი კომპანია შუბის დარიგების პროცესს 25 თებერვლამდე დაასრულებს და ამ დროისთვის კიდევ 115 ოჯახს მიენდობა შუბის მარაგი.



ჩვენი კარაბაღი

ბრძოლა საუკუნის უბედურებასთან

იბის უსასხაზ. თუ როდის დამთავრდება იბი გამარჯვებით

საერთაშორისო კიბოს საწინააღმდეგო კავშირმა განაცხადა, რომ 2030 წლიდან კიბო ვერ მოკლავს 80 წელზე ახალგაზრდა ვერც ერთ ადამიანს.

ის სტალინბრადია!

— ამერიკაში სარკვევ ჯირკვლის კიბოს განკურნავენ ქალების 95, რუსეთში — 60 პროცენტს. იცით, ვფიქრობ, გაყალბებულია — რეალური ციფრები კიდევ უფრო დაბლაა. რატომ?

ამ და ჩვენ სხვა შეკითხვებს უპასუხებს რუსეთის ჯანმრთელობის სამინისტროს მთავარი ონკოლოგი, რუსეთის ბლოხინის სახელობის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი **მისაილ დავილოვი**. — დასავლეთში დაავადების ყველაზე ადრეულ სტადიაზე მონესრიგებულია სწრაფი და ზუსტი დიაგნოსტიკა. ესაა ჯანსაღი მოსახლეობის გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებში ამა თუ იმ პათოლოგიის მიზნობრივი ძიება. მაგალითად, სარკვევ ჯირკვლის კიბოზე იკვლევენ 45-დან 65 წლამდე ასაკის ქალებს. ფილტვების კიბოზე — 45-65 წლის მამაკაცებს, რომლებიც ყოველდღიურად 20 წლის განმავლობაში ერთ კოლოფ სიგარეტს ეწევიან. მაგრამ დაავადების ადრეული ფორმის გამოვლინება — ჯერ კიდევ რომელიც ნიშნავს გამოვანმრთელებას. 3 თვის განმავლობაში კიბოს ადრეული ფორმა უკვე შეიძლება, მომდევნოში გადაიზარდოს. საჭიროა, მოახდინო დიაგნოსტიკის პროგრამის რეალიზება და სწრაფად დაიწყო მკურნალობა. რუსეთში ამ საქმესთან დაკავშირებით პრობლემაა.

— რატომ? თითქოსდა, რეგიონები ძვირად ღირებული ტექნიკით გადატვირთეს.

— თუ ყოველ სოფელში დადგამთ მამოგრავს, სარკვევ ჯირკვლის კიბოს ერთ სანტიმეტრსაც ვერ აღმოაჩენ.

უნდა იყვნენ უაღრესად გამოცდილი ადამიანები! საკმარისი როდია, დაინახო, უნდა დადასტურო, რომ ეს არის კიბო. მოხდეს სიმსივნეში ნეშით და მოაწყო მასალის გამოკვლევა ლაბორატორიაში, რომ მკურნალობის ტაქტიკა განსაზღვრო, ეს ადვილი საქმე როდია. ყველა რეგიონი არ არის მზად ასეთი მუშაობისთვის. თათრეთში ჩვენ განვახორციელეთ სარკვევ ჯირკვლის ადრეული კიბოს გამოვლენის წარმატებული პროგრამა. აი, იაკუტიაში კი ონკოლოგიური სამსახური 50-იანი წლების დონეზეა. ეს სტალინგრადის ბრძოლა!

მაგარი კაპალი

— ამიტომაც, რომ ყველა მოსკოვში მოხვედრას ცდილობს? — ჩვენი ამოცანაა — სამედიცინო დახმარების თვალსაზრისით რეგიონები დიდ ფედერალურ ცენტრებს დაუუახლოვოთ. მაგრამ დღეს ჩვენი გამოცდილება და მუ-



შაობის შედეგები — მითითება არაა რეგიონებისთვის. თავიდან უნდა აგო ხელისუფლების ვერტიკალი. ხელი უნდა შევუწყოთ იმ სათაო ცენტრების განვითარებას, რომლებიც პასუხისმგებლები არიან პათოლოგიის პროფილისათვის და ამზადებენ კადრებს რეგიონისთვის, თვალყურს ადევნებენ სიტუაციის ადგილზე და ყოველივე ამისთვისაც არიან პასუხისმგებლები.

— რითი შეგვიძლია გავიფიქროთ ფონს დასავლეთის დახმარების გარეშე?

— თითქმის ყველაფრით. იმაში კი, რაც კეთდება ხელით, ქირურგიაში, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას შეგვიძლია მივცეთ ფორა, მაგრამ, თუ ონკოლოგიას განვკურნავთ, მხოლოდ ქირურგით! წამლებთან დაკავშირებით კი პრობლემა არის. დიახ, ახლა დავიანებით, მაგრამ ჩნდება სამამულო პრეპარატები. რადიოლოგიური მონაცემებისასთან დაკავშირებით უფრო რთულადაა საქმე. რუსეთის ფედერაციაში წარმოება მოუწესრიგებელია. სამამულო მონაცემების მიმართულთან შედარებაც კი შეუძლებელია. ასე რომ, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ვისარგებლოთ მონაცემების იმ პარკით, რომლის ყიდვაც მოვასწარით. თუმცა, სიტუაცია კრიტიკული არაა. ჩვენ მაგარი კაკლები ვართ.

— როდის აღსრულდება კაცობრიობის ოცნება — დაამარცხოვს კიბო?

— კიბოზე სრული გამარჯვება შესაძლებელი იქნება, როდესაც ვისწავლით იმ პრეპარატების დაზადებას, რომლებიც მიზნად სიმსივნეს ისახავს და ხდის მას უცხო იმუნური სისტემისთვის. ერთ ჩვენ პაციენტ ქალს ჯერ კიდევ ბავშვობაში გადანერგილ დონორის თირკმელში განუვითარდა სიმსივნე, მეტასტაზები რომ გამოიწვია. თირკმელი ამოიღეს და შეწყვიტეს იმუნოტეტის დამორგუნავი თერაპიის მიცემა, რომელსაც წლები განმავლობაში ლეზულობდა (რომ თირკმელი არ გათიშულიყო). და უცბად ერთ თვეში ყველა მეტასტაზი იქნა შეწოვილი — იგი იმუნურმა სისტემამ „შეჭაბა“, ვინაიდან გაიგო, რომ ისინი სხვისა იყო. ქალიშვილს სხვა თირკმელი გადაუწერეს და ის დღემდე ცოცხალია.

იულია პორტა

